The problem of correlation between selective absorption and surface brightness of the Milky Way. As it was mentioned above, the point of view of continuously distributed absorbing matter is not able to explain the observed absence of correlation between the value of selective absorption in the given direction and the surface brightness of the Milky Way. However from the standpoint of discontinuous dark matter this phenomenon can find its explanation. The problem is that as it was shown by Kreiken a considerable variation of surface brightness of the Milky Way can be caused only by that dark matter which is at the distance of not more than 200 *parsec*. Therefore from our point of view the distribution of surface brightness in the Milky Way is chiefly determined by non-illuminated nebulae located at less than 200 *parsec* from us. On the other hand selective absorption has been chiefly studied on the base of Stebbins and Huffer's[10] work by stars of B type located on the average at a distance of 500—600 *parsec*. Consequently the picture of the distribution of selective absorption coefficient as given by this work is connected with distribution of non-illuminated nebulae located at distances up to 500 *parsec* and more. In such a way the picture of distribution of surface brightness in the Milky Way on one hand and the distribution of selective absorption coefficient on the other are stipulated by two different sets of nebulae. It is true that one of these sets is a part of the other one; yet it is evident that fluctuations of the number of nebulae in one set in some direction will be almost independent of the fluctuation of the number of nebulae in the same direction in other set. Therefore there should exist almost no correlation between the surface brightness of the Milky Way and the selective absorption coefficient, which is just observed in reality.

Conclusion. As we have shown in the present paper the diffuse nebulae are not dynamically connected with illuminating stars and are probably accidentally met with the latter in space. This leads to the conclusion that there exists a large multitude of non-illuminated diffuse nebulae distributed haphazard in the galactic space.

Computation has shown that the absorption of light of distant stars produced by these nebulae should be of the same order of magnitude as the observed general absorption. Therefore the cause of the general absorption can be sought for just in these non-illuminated nebulae. This assumption permits to explain large fluctuations in the general and selective absorption when passing from one region of the sky to the neighbouring one. In addition we have shown that from our point of view one should not expect any correlation between the surface brightness of different regions in the Milky Way and the selective absorption coefficient in those regions.

From this standpoint the reflecting, emission as well as «dark» nebulae are individual representatives of the homogeneous class of diffuse nebulae.

Diffuse nebulae possessing large optical thickness and not being illum
nated by bright stars will seem «dark» ones. Diffuse nebulae illuminated
stars of B1 — M types simply reflect their light and finally diffuse nebu
falling into the field of radiation of O and Bo stars give the emission spec
rum being essentially of the same physical nature as the reflection nebul
The difference between the reflection and emission nebulae is similar to th
between comets located at large and small distances from the Sun.

On the other hand the assumption on the presence of a special cont
nuously distributed absorbing medium in galaxy proves to be unnecessary.

Finally the proposed point of view is the most simple one, as it embrac
all the phenomena referring to nebulae with continuous, emission and mixe
spectra, to dark nebulae as well as to selective and general cosmic absorptio

September, 1937.

Literature: ლიტერატურა:

1. Aph. J. 63, p. 218, 1926.
2. Aph. J. 65, p. 50. 1927.
3. M. N. 97. p. 37, 1936.
4. Zs. f. Aph. p. 161, 1935.
5. P. D. O. Victoria V, 4, 1935.
6. Aph. J. 56, p. 400, 1922.
7. Zs. f. Aph. 1932.
8. Астр. Ж. 1937.
9. H. C. 416, 1936.
10. P. Wash. O. XV, 5, 1934.

დიფუზურ ნისლოვანედთა და კოსმიური შთანთქმის პრობლემა

ვ. ამბარცუმიანი და შ. გორდელაძე

(რეზუმე)

ცნობილია, რომ დიფუზურ ნისლოვანედთა შორის გვხვდება ნისლოვან
დები როგორც უწყვეტი, ისე ემისიური სპექტრითაც. მიჩნეულია, რომ ყოველ
დიფუზური ნისლოვანედის ნათება ყოველ ცალკე შემთხვევაში დაკავშირებ
ლია დიდი აბსოლუტური სიკაშკაშის მქონე ვარსკვლავთან, რომელიც ნისლ
ვანედის შიგნით ან მის მახლობლად მდებარეობს. ამასთანავე შემჩნეულია, რ
თუ მნათი ვარსკვლავის სპექტრი Br ან უფრო გვიანი ტიპის არის, მაშინ ნ
ლოვანედის სპექტრი უწყვეტია და ვარსკვლავის სპექტრს ეთანადება. ამ შე
თხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ვარსკვლავის სინათლის უბრალო არეკლასთან ნ
ლოვანედის მიერ და საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ დიფუზური არეკ
კოსმიური მტვერის მყარი წილაკების მიერ სწარმოებს. იმ შემთხვევაში, რო
ნისლოვანედის ნათების გამომწვევი ვარსკვლავი O ან Bo ტიპის არის, ნისლ
ვანედის სპექტრი ემისიურია. Rosseland[1]-მა და Zanstra[2]-მ გვიჩვე

რომ ეს ემისია ნისლოვანედში მოქცეულ აირების ატომთა ვარსკვლავის მოკლეტალღიანი გამოსხივების მიერ აღგზნებით არის გამოწვეული.

ამრიგად, თვითეული დიფუზური ნისლოვანედი თავისი ნათების გამომწვევ რომელიმე ვარსკვლავთან არის დაკავშირებული, თუმცა ამ კავშირის ხასიათი ამჟამად უცნობი არის.

მართლაც, არსებობს ორი, ერთმანეთის გამომრიცხავი შესაძლებლობა:

1) ვარსკვლავები, რომლებიც ნისლოვანედთა ნათებას იწვევენ, მხოლოდ შემთხვევით უახლოვდებიან მათ სივრცეში ძრაობის დროს. ამ თვალსაზრისის მიხედვით ყოველი აღებული ნისლოვანედი დროის სხვადასხვა მომენტში შეიძლება დაუახლოვდეს ყოველგვარ შესაძლო სპექტრალური ტიპის სხვადასხვა ვარსკვლავს და ამის მიხედვით შესაბამი არეკლილი სპექტრი მოგვცეს; შეიძლება აგრეთვე, რომ დროის გარკვეულ შუალედში, როცა ნისლოვანედის საკმაო მახლობლობაში არ მოიპოვება საკმარისად კაშკაშა ვარსკვლავი, ის (ნისლოვანედი) სავსებით გაუნათებელი დარჩეს და, მაშასადამე, დამკვირვებლისათვის უჩინარი იყოს; 2) ვარსკვლავი, რომელიც ნისლოვანედის ნათებას იწვევს, ამ უკანასკნელთან გენეტიურად არის დაკავშირებული, ე. ი. საერთო წარმოშობა და სივრცეში ერთნაირი ძრაობა აქვთ.

ჩვენ აქ განვიხილავთ საკითხს იმის შესახებ, თუ ამ ორ შესაძლებლობათაგან რომელი შეესაბამება სინამდვილეს: ნისლოვანედთა და ვარსკვლავთა შემთხვევითი კავშირის ჰიპოთეზა, თუ ჰიპოთეზა მათი გენეტიური კავშირის შესახებ.

საკითხის ამოხსნა შემდეგი გზით შეიძლება იქნეს მიღწეული: შემთხვევითი კავშირის ჰიპოთეზის შემთხვევაში შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ აღებულ სპექტრალურ ტიპის ვარსკვლავთა მიერ განათებულ ნისლოვანედთა პროცენტი ყველა ნათელ ნისლოვანედთა მიმართ კოსმიური სივრცის მოცულობის იმ ნაწილის პროპორციული არის, რომელიც ამავე სპექტრალური ტიპის ვარსკვლავებით არის განათებული. რაც უფრო მეტი მოცულობა არის განათებული მოცემული სპექტრალური ტიპის ვარსკვლავთა მთელი სიმრავლით, მით უფრო მეტი ნისლოვანედი აღმოჩნდება ამ მოცულობის შიგნით და განათებული იქნება ამ სპექტრალური ტიპის ვარსკვლავებით. თავის მხრივ, გარკვეული სპექტრალური კლასის ვარსკვლავებით და გარკვეული ხარისხით განათებული სივრცის ნაწილი ამ კლასის ვარსკვლავთა საერთო რიცხვსა და მათ აბსოლუტურ სიკაშკაშეზე არის დამოკიდებული. რაც უფრო მეტია იმ ვარსკვლავთა რიცხვი და, აგრეთვე, რაც უფრო მაღალია მათი აბსოლუტური სიკაშკაშე, მით უფრო მეტი იქნება განსახილავი ტიპის ვარსკვლავებით განათებული სივრცის ნაწილი. ამის გამო თვითეული სპექტრალური ტიპის ვარსკვლავებით განათებული სივრცის მოცულობის ნაწილის ფარდობითი და აბსოლუტური ოდენობანი, თვითეული ტიპის „ნათების ფუნქციის“ საშუალებით, ე. ი. ვარსკვლავთა სტატისტიკის მონაცემებით შეიძლება იქნენ გამოთვლილნი.

შემთხვევითი კავშირის ჰიპოთეზის სამართლიანობა მოითხოვს, რომ სხვადასხვა ტიპის ვარსკვლავებით განათებულ ნისლოვანედთა რიცხვი, ასეთგვარად გამოთვლილ ფარდობით მოცულობათა პროპორციული აღმოჩნდეს.

სხვადასხვა ტიპის ვარსკვლავით განათებული სივრცის ფარდობით მოცულობათა გამოთვლა მოყვანილია ქვემოდ და მიღებულია სავსებით დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტება იმ ფაქტის, რომ თვით ამრეკლავ ნისლოვანედთა უმრავლესობაც კი B (სახელდობრ B1—B9) ტიპის ვარსკვლავებით არის განათებული.

არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ განაწილების ახსნა განმარტება გენეტიური კავშირის ჰიპოთეზის საფუძველზე შეიძლებოდეს. მართლაც, რატომ მტვეროვან ნისლოვანედებთან სწორედ B1—B9 ტიპის ვარსკვლავები უნდა იყვნენ დაკავშირებულნი და არა სხვა რომელიმე, მაგ., M ტიპის ვარსკვლავები? მეორეს მხრივ, სივრცეში „ბნელ“ ნისლოვანედთა არსებობის ფაქტი, რაც სავსებით ბუნებრივია შემთხვევითი კავშირის ჰიპოთეზის თვალსაზრისით, გენეტიური კავშირის ჰიპოთეზის შემთხვევაში გვაიძულებს დაუშვათ, რომ მაინც არსებობენ მთელი რიგი ნისლოვანედები, რომლებიც არც ერთ ვარსკვლავთან არ არიან დაკავშირებულნი. პირველად, სანამ შეუდგებოდეთ შემთხვევითი კავშირის ჰიპოთეზის შემოწმების ზემოდაღნიშნულ მეთოდის დეტალური სახით განვითარებას, შევნიშნავთ, რომ შესაძლებელია ამ ჰიპოთეზის შემოწმების სხვა გზებიც; ასე, მაგ., საგულისხმოა ვარსკვლავებისა და მათ მიერ განათებულ ნისლოვანედების სხივურ სიჩქარეთა შედარება*. იმ შემთხვევაში, როცა ვარსკვლავსა და მის მიერ განათებულ ნისლოვანედს შორის არ არსებობს ფიზიკური კავშირი, მათ სხივურ სიჩქარეთა შორისაც არ უნდა არსებობდეს რაიმე გარკვეული კანონზომიერებითი კავშირი. ცხრ. I-ში მოყვანილი არსებული დაკვირვებითი მასალა გვიჩვენებს, რომ ასეთი კორელაცია მართლაც გამორიცხულია, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ დაკვირვებითი მასალის სიმცირე არ გვაძლევს საშუალებას რაიმე სავსებით გადამწყვეტი ხასიათის დასკვნა მივიღოთ. მეორეს მხრივ, არ არის გამორიცხული გენეტიური კავშირის თვალსაზრისისა და ვარსკვლავთა და ნისლოვანედთა სხივური სიჩქარეების თანხვედნილობის ერთმანეთთან შეთავსება; ასე, მაგ., Zanstra-ს მიხედვით [3] დიფუზური ნისლოვანედნი (ამ შემთხვევაში საკითხი ეხება აირად ნისლოვანედებს) არ იმყოფებიან სტატიკურ მდგომარეობაში და ვარსკვლავისაკენ მიმართულებით ადგილი აქვს მათი ზედაპირიდან მატერიის უწყვეტ დენადობას; ამასთანავე, ძირითადად, სწორედ ეს დენადი მატერია ანათებს. ამიტომ, ვარსკვლავის და ნისლოვანედის სხივურ სიჩქარეთა შორის უნდა არსებობდეს ერთგვარი სხვაობა, თუმცა ნისლოვანედის მთავარ მასას შეიძლება ისეთივე სიჩქარე ჰქონდეს, როგორც ვარსკვლავს.

ზემოდაღნიშნულის გამო უნდა მივიღოთ, რომ შემოწმების უფრო სწორ მეთოდს სტატისტიკური მეთოდი წარმოადგენს, რაც თვითეული ტიპით განათებული სივრცის საერთო მოცულობის გამოთვლაზე არის დამყარებული.

თავის თავად ცხადია, რომ ცნება „ვარსკვლავით განათებული მოცულობა“ ზუსტ განმარტებას მოითხოვს. მკაცრად რომ ვთქვათ, ვარსკვლავი უსასრულო მოცულობას ანათებს. ამის მიუხედავად დიდი მანძილების შემთხვევაში ვარსკვლავიდან მიღებული განათება იმდენად მცირეა, რომ ნისლოვანედი დამკვირვებლისთვის უჩინარი იქნება. ამიტომ, პრაქტიკული თვალსაზრისით, თვითეულ ვარსკვლავის გარშემო ისეთი მოცულობა განვიხილოთ, რომლის შიგნით განათება აღემატება ერთგვარ ქვედა ზღვარს, რომელიც შეიძლება ისეთ უმცირეს განათებათ ჩავთვალოთ, როცა ჩვენი ინსტრუმენტებით და ფოტოფირფიტებით კიდევ ხელმისაწვდომია და შესაძლებელი ობიექტთა რეგისტრაცია. კერძოდ, უფრო ხელსაყრელია განათების ქვემო ზღვრად ისეთი განათება მივიღოთ, რომლის დროსაც შესაძლებელია Mount Wilson-ის ობსერვატორიის 60" რეფლექტორით ერთ საათიანი ექსპოზიციის შემთხვევაში ნისლოვანედის ფოტოგრაფირება.

ვარსკვლავის სიკაშკაშე I-ით ავღნიშნოთ; მაშინ, მისგან r მანძილით დაშორებულ და მისი სხივების მართობილ რომელიმე ზედაპირის ერთ კვადრატულ სანტიმეტრით მიღებული ენერგიის რაოდენობა იქნება: $\frac{I}{4\pi r^2}$. თუ დავუშვებთ, რომ ზედაპირი მასზედ დაცემულ სინათლეს მთლიანად არეკლავს, მაშინ ენერგიის რაოდენობისათვის, რომელიც ამრეკლავ ნისლოვანედის ზედაპირის ერთეულიდან დედამიწის ზედაპირის ერთეულზე ეცემა, გვექნება გამოსახვა (1), სადაც R-ით აღნიშნულია მანძილი დედამიწისა და ნისლოვანედის შორის.

მეორეს მხრივ, ნისლოვანედის ზედაპირის რკალის ერთი კვადრატული მინუტი, როცა ამ ნისლოვანედის პარალაქსი p გამოსახული არის რკალის სეკუნდებში, ფართის ჩვეულებრივ ერთეულებში შეესაბამება სიდიდეს:

$$\left(\frac{60R_\odot}{p}\right)^2,$$

სადაც $R_\odot$ წარმოადგენს მანძილს დედამიწისა და მზეს შორის. ამასთანავე, რადგან p-სთვის გვაქვს:

$$p=\frac{R_\odot}{R}206000$$

იმავე ფართისათვის გვექნება გამოსახვა (2).

თუ, ახლა, ენერგიის რაოდენობას (1), რომელსაც დედამიწის ზედაპირის ერთი კვადრატული სანტიმეტრი ღებულობს ნისლოვანედის ზედაპირის ერთ კვადრატულ სანტიმეტრიდან, გავამრავლებთ (2)-ზე, ვიპოვით ენერგიის რაო-

* შემოწმების ასეთ შესაძლებლობაზედ მიუთითა Hubble-მა თავის პირველ შრომაში დიფუზურ ნისლოვანედთა შესახებ (Aph J. 66, p. 162, 1922).

დენობას, რომელსაც დედამიწის ერთი კვადრატული სანტიმეტრი ღებულობს ნისლოვანედის ზედაპირის ერთი კვადრატული მინუტიდან:

$$\frac{I}{4\pi r^2 4\pi}\left(\frac{60}{206000}\right)^2=\frac{I}{(13732\pi r)^2}.$$

მნათი ვარსკვლავის ხილული სიდიდე m_*-ით ავღნიშნოთ, ვარსკვლავურ სიდიდე ნისლოვანედის თვითეული კვადრატული მინუტიდან კი m_s-ით; მაშ შეგვიძლია დავწეროთ:

$$m_*-m_s=-2{\cdot}5\log[4\pi r^2(3433)^2]+5\log R.$$

ამ ტოლობიდან მარტივი გარდაქმნის შემდეგ ვპოულობთ:

$$\log r=-0{\cdot}5\log 4\pi(3433)^2+0{\cdot}2(m_*-M)+1.$$

თუ, ახლა, m_s-ის მაგიერ ჩავსვამთ ზღვარულ ვარსკვლავურ სიდიდეს ერთ კვადრატული მინუტიდან, რომელიც შესაძლოა იქნეს ფოტოფიქსირებულ Mount Wilson-ის ობსერვატორიის 60″ რეფლექტორით ერთ საათიან ექსპოზიციის შემთხვევაში, ვიპოვით დამოკიდებულებას მნათ ვარსკვლავის აბსო ლუტურ სიდიდესა და იმ მანძილს r_0 შორის, რომელზედაც ის ამ ზღვარულ განათებას უზრუნველყოფს.

შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ m_* (ზღვარული) $=23.25$; ამიტომ მივ ღებთ (3)-ს.

მეორეს მხრივ, ცხადია, რომ განათებული სივრცის მოცულობა ტოლ $\frac{4}{3}\pi r_0^3$, რადგან ამ მოცულობის შიგნით მდებარე ყოველ ნისლოვანედს ექნებ დაკვირვებისათვის შესაძლო ზედაპირული სიკაშკაშე. ამიტომ, თუ მხედველო ბაში მივიღებთ (3), განათებული მოცულობისათვის v ვიპოვით გამოსახვა (4), სადაც C (4′)-ით განისაზღვრება.

აქედან ცხადია, თუ როგორია განათებული მოცულობის დამოკიდებუ ლება ვარსკვლავის აბსოლუტურ სიდიდეზე.

ვთქვათ ახლა, რომ განსახილავი სპექტრალური ტიპის ვარსკვლავთა ნა თების ფუნქცია არის $\Phi(M)$, ე. ი. $\Phi(M)dM$ წარმოადგენს აღებული სპექტრა ლური ტიპის იმ ვარსკვლავთა რიცხვს მოცულობის ერთეულში, რომელთ აბსოლუტური სიდიდე M და $M+dM$ შუალედის შიგნით არის მოქცეული; მა შინ ცხადია, რომ მოცულობის ერთეულის ის ნაწილი, რომელიც აღებულ სპექტრალური ტიპით იქნება განათებული, წარმოგვიდგება ინტეგრალით (5).

რადგან $\Phi(M)$ ფუნქცია აღებულ სპექტრალურ კლასისათვის ცნობილი

ხოლო $v(M)$ ფუნქციის სახე უკვე მიღებულია, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია P-ს მნიშვნელობა თვითეული სპექტრალური კლასისათვის განვსაზღვროთ. სიდიდე P-ს მიღებული მნიშვნელობანი მოცემულია ცხრ. II-ში.

საჭიროა შევნიშნოთ, რომ ამ ცხრილის გამოთვლის დროს აღმოჩნდა, რომ $\Phi(M)$ და $v(M)$ ფუნქციათა მაქსიმუმი თვითეული სპექტრალური კლასისათვის შედარებით მაღალ აბსოლუტურ სიდიდეებზე მოდის, სახელდობრ, აღებული კლასის ზებუმბერაზებზე; ამასთანავე ეს ფუნქციები აბსოლუტურ სიკაშკაშეთა ზრდადი მიმართულებით ყოველ აღებულ შემთხვევაში სუსტად მცირდებოდენ; ამიტომ, ერთობ დიდ აბსოლუტურ სიკაშკაშეთა შუალედისათვის გვიხდებოდა ზოგჯერ $\Phi(M)$ და $v(M)$ ფუნქციების მნიშვნელობათა ექსტრაპოლაცია, რასაც ერთგვარი შეცდომა შემოჰქონდა.

ცხრ. II-ში მოყვანილი P სიდიდის მნიშვნელობანი არსებითად კოსმიური სივრცის იმ ნაწილებს წარმოადგენენ, რომლებიც შესაბამის კლასის ვარსკვლავებით არიან განათებული. თუ ყველა ამ რიცხვებს შევკრებთ, რომელსაც შემდეგში ჩვენ დაუმატებთ აგრეთვე O ტიპის შესაბამ რიცხვსაც, დავინახავთ, რომ ვარსკვლავებით სივრცის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია განათებული; ამიტომ, თუ ვარსკვლავთა და ნისლოვანედთა შემთხვევითი კავშირის ჰიპოთეზა სწორია, მაშინ განათებულ ნისლოვანედთა რიცხვი სავსებით უმნიშვნელო უნდა იყოს გაუნათებელ ნისლოვანედთა რიცხვთან შედარებით.

ცხრ. II-ის მონაცემთა უშუალო შედარების შესაძლებლობას დაკვირვებულ ნისლოვანედთა ფარდობით რიცხვებთან ართულებს ის გარემოება, რომ B ტიპის ვარსკვლავები გვხვდებიან კავშირში როგორც ემისიურ, ისე ამრეკლავ ნისლოვანედებთან. გარდა ამისა საჭიროა P სიდიდის მნიშვნელობა განსაზღვრულ იქნეს აგრეთვე O ტიპის ვარსკვლავთათვის. ცნობილია, რომ Bo ტიპის ვარსკვლავები ემისიურ ნისლოვანედებთან კავშირში გვხვდებიან, ხოლო B1 – B9 ტიპის კი ჩვეულებრივად ამრეკლავ ნისლოვანედებთან. ამიტომ, O და Bo ტიპის ვარსკვლავთათვის P-ს მნიშვნელობანი ჩვენ მიერ ცალ-ცალკე იყო გამოთვლილი.

მეორეს მხრივ, B და Bo ტიპის შესაბამ P სიდიდეთა სხვაობა მოგვცემს P-ს მნიშვნელობას B1—B9 სპექტრალურ ერთობლიობისათვის.

O და Bo ტიპის ვარსკვლავთათვის P სიდიდის განზღვრის მიზნით აუცილებელია თვითეულ მათგანისთვის $\Phi(M)$ ფუნქციის ცოდნა. ვინაიდან ამ ფუნქციათა შესახებ მონაცემები არ მოგვეპოვება, ამიტომ, ჩვენ ჩავთვალოთ, რომ ისინი გამოისახებიან განაწილების ერთგვარი ნორმალური კანონით (6), სადაც M_0 აღებული ტიპის ვარსკვლავთა საშუალო აბსოლუტურ სიდიდეს წარმოადგენს, σ — აბსოლუტურ სიდიდეთა დისპერსიას, ხოლო A — ერთგვარ მუდმივ სიდიდეს, რომელიც განსაზღვრავს აღებული ტიპის ვარსკვლავთა აბსოლუტურ კონცენტრაციას სივრცეში. მივიღებთ-რა განსახილავი კლასის ვარსკვლავთათვის ნათების ასეთ ფუნქციას, შეგვიძლია შეუდგეთ იმ ვარსკვლავთა რიცხვის გამოთვლას, რომელთა ხილული სიკაშკაშე, რომელიმე გარკვეულ ვარსკვლავურ სიდიდეს m_0 აღემატება; ამასთანავე ჩვენ ვიგულისხმებთ, რომ განსახილავი ტიპის ვარსკვლავები გალაქტიკის სიბრტყეში თანაბრად არის განაწილებული (ე. ი.

გალაქტიკის სიბრტყის მართობი მიმართულებით დისპერსიას თითქმის სრულებით არ აქვს ადგილი) და პირველად დაუშვებთ, რომ სინათლის შთანთქმას ადგილი არ აქვს; მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა იმ ვარსკვლავებს, რომელთა აბსოლუტური სიდიდე არის M და მდებარეობენ უფრო ახლო ვიდრე $r=10^{0.2(m_0-M)+1}$, ხილული სიკაშკაშე ექნებათ მეტი ვიდრე m_0; ამიტომ, სივრცის მოცულობა, რომელშიაც ეს ვარსკვლავები იქნებიან ხილულნი, შეიძლება გამოვსახოთ შემდეგით:

$$\pi r^2 h=\pi h 10^{0.4(m_0-M)+2},$$

რადგან ეს მოცულობა შეიძლება იქნეს წარმოდგენილი ცილინდრის სახით, რომლის ფუძე გალაქტიკის სიბრტყის პარალელურია და აქვს რადიუსი r: ხოლო სიმაღლე კი რომელიმე სიდიდის h ტოლია.

აქედან, ამ მოცულობაში მოქცეულ ვარსკვლავთა რიცხვი, რომელთა აბსოლუტური სიდიდე არის M და რომლებიც m_0-ზე უფრო კაშკაშად აისახებიან ჩვენ მიერ, გამოისახება ნამრავლით:

$$\pi r^2 h\Phi(M)=A\pi\varepsilon^{\frac{(M-M_0)^2}{2\sigma^2}}10^{0.4(m_0-M)+2}h,$$

რომლის ინტეგრობით ყველა შესაძლო აბსოლუტურ სიდიდეთა შუალედში, ჩვენ ვღებულობთ m_0 ხილულ სიდიდეზე უფრო კაშკაშა განსახილავ ტიპის ვარსკვლავთა სრულ რიცხვს, გამოთქმულს (7) სახით.

მეორეს მხრივ, ანალოგიური მსჯელობით მივალთ იმ დასკვნამდე, რომ Bo—B9 სპექტრალური ტიპების იმ ვარსკვლავთა საერთო რიცხვი რომელთა ხილული სიდიდე მეტია ვიდრე m_0, გამოისახება ინტეგრალით (8), სადაც $\varphi(m)$—Van Rhijn-ის და Schwassmann-ის ცხრილში გათვალისწინებულ B ტიპის ყველა ვარსკვლავთა ნათების ფუნქციას წარმოადგენს.

ჩვენ ვიგულისხმებთ, რომ როგორც განსახილავი ტიპისათვის (Bo ან O), ისე, აგრეთვე, B ტიპისათვისაც სიდიდე h ერთი და იგივეა, ე. ი. რომ გალაქტიკის სიბრტყის მართობი მიმართულებით დისპერსია ორთავე შემთხვევაში ერთმანეთის ტოლია; მაშინ, თუ (7) გავყოფთ (8)-ზე, ვპოულობთ (9)-ს.

(9) ტოლობის მარჯვენა ნაწილის ინტეგრალი მნიშვნელში შეიძლება გამოთვლილ იქნეს Van Rhijn-ის და Schwassmann-ის მონაცემების საფუძველზე[1]; მრიცხველის ინტეგრალიც გამოითვლება, თუ ცნობილი იქნება M_0 და σ. ამ უკანასკნელისა ვის ჩ ენ ვისარგებლეთ Plaskett-Pearce-ის მონაცემებით O და Bo ტიპებისათვის, შესაბამისად.

ეს მონაცემები შემდეგია:

სპექტრ. ტიპი	M_0	σ
O	—4.0	1.33
Bo	—3.4	1.28

$N_{Bo_0 B9}(m_0)$ და $N(m_0)$ რიცხვები Bo და O ტიპებისათვის შეიძლება გამოვთვალოთ ვარსკვლავთა რომელიმე სპექტრალური კატალოგიდან, რომელშიც ყველა ვარსკვლავებია მოცემული გარკვეულ ხილულ სიდიდემდე. ამიტომ თვითეულ საკვლევ სპექტრალური ტიპისათვის (Bo და O) შესაძლოა A სიდიდის პოვნა.

ყველა აღნიშნული მხოლოდ იმ შემთხვევაშია სამართლიანი, როცა ვარსკვლავთაშორისი შთანთქმა არ არსებობს. შთანთქმის დაახლოებითი გათვალისწინება შემდეგი გზით შეიძლება. ვთქვათ, რომ თვითეული სპექტრალური ტიპის ვარსკვლავთა რიცხვი იმ მოცულობის პროპორციულია, რომლის შიგნით აღებული ტიპის ვარსკვლავებს m_0-ზე უფრო მეტი ხილული სიკაშკაშე აქვთ. შთანთქმის არსებობის დროს ეს მოცულობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მაშინ, როცა შთანთქმას ადგილი არა აქვს, რადგან, მაგ., O ტიპის ვარსკვლავები, რომელთა საშუალო აბსოლუტური სიდიდე $M=-4$, როცა $m_0=9.0$ მოსჩანან 4×10^3 პარსეკამდე თუ შთანთქმას არ აქვს ადგილი, ხოლო მაშინ-კი, როცა არსებობს შთანთქმა $0^m.6$ სიდიდისა კილოპარსეკზე, ისინი ხილულნი იქნებიან მხოლოდ 2200 პარსეკის მანძილზე. ამრიგად, შესაძლოა გამოვითვალოთ Draper-ის კატალოგით შემოსაზღვრული ნამდვილი მოცულობის შეფარდება იმ მოცულობასთან, რომელიც იქნებოდა შემოსაზღვრული იმავე კატალოგის ვარსკვლავებით სივრცის სავსებით გამჭვირვალობის შემთხვევაში; ამასთანავე, ჩვენ მივიღებთ რომ Draper-ის კატალოგის ზღვარული სიდიდე $m_0=9.0$.

ჩვენ მიერ ამგვარი გამოთვლებით Bo და O ტიპისათვის (ალ-ცალკე მიღებული იყო შესაბამი შემასწორებელი მამრავლები და (9) განტოლების მარჯვენა ნაწილის ინტეგრალი მრიცხველში ამ მამრავლზე მრავლდებოდა.

ჩვენ ვისარგებლეთ H. D. კატალოგით. როგორც ცნობილია Bo—B9 ტიპის ვარსკვლავთა საერთო რიცხვი ამ კატალოგში 16.786 უდრის. მეორეს მხრივ, Bo ტიპის ვარსკვლავთა რიცხვი კი ამავე კატალოგის საფუძველზე გამოთვლის დროს აღმოჩნდა 286; ხოლო, O ტიპის ვარსკვლავები აბსორბციული სპექტრით, რომელსაც ჩვენ მივაკუთვნეთ აგრეთვე O_e და O_{e5} ვარსკვლავებიც—53. ამ მონაცემების საფუძველზე გამოთვლილი იყო A სიდიდე ორთავე სკვლევ ტიპისათვის. თუ ამის შემდეგ (5) ფორმულაში შევიტანთ (6) გამოსახვას, ჩვენ მივიღებთ O და Bo ტიპების შესაბამ P სიდიდის მნიშვნელობებს. საბოლოოდ P სიდიდის მნიშვნელობათათვის ჩვენ შეგადგინეთ ცხრ. III. ამ ცხრილის

უკანასკნელ სვეტში მოცემულია იმ ნისლოვანედთა რიცხვი n, რომელიც თვითეული სპექტრალური კლასის ვარსკვლავთა მიერ არის განათებული. ამ ცხრილიდან სჩანს, რომ O და Bo ტიპებისათვის P სიდიდის ჯამი 0.8×10^{-4} ტოლია, მაშინ როცა B1 — M ტიპებისათვის ეს ჯამი უდრის 4.4×10^{-4}.

ამრიგად, O და Bo ვარსკვლავებთან დაკავშირებული ემისიურ ნისლოვანედთა თეორიული რიცხვი $5^1/_2$-ჯერ ნაკლები უნდა იყოს ვიდრე ამრეკლავ ნისლოვანედთა რიცხვი. დაკვირვებითი მასალიდან-კი Hubble-ის შრომაში ემისიურ ნისლოვანედთა რიცხვი 18-ის ტოლია, ხოლო ამრეკლავ ნისლოვანედთა — 64, ე. ი. ფარდობა 4-ზე ნაკლებია. სავა მხრივ კი შემთხვევითი კავშირის ჰიპოთეზა ამრეკლავ ნისლოვანედთა მათი გამნათებელი ვარსკვლავების სპექტრალური ტიპის მიხედვით განაწილებისათვის დაახლოებით სწორ სურათს გვაძლევს. კერძოდ, ეს ჰიპოთეზა მშვენიერ ახსნას აძლევს იმ ფაქტს, რომ ამრეკლავ ნისლოვანედთა შორის დიდ უმრავლესობას B1—9 სპექტრი აქვს. ამის გარდა, ერთობ საგულისხმოა ისიც, რომ ცხრილის მიხედვით, M ტიპით განათებული ნისლოვანედები თითქმის სრულებით არ უნდა არსებობდენ, რაც აგრეთვე მშვენივრად ეთანხმება დაკვირვებითი მასალას, რადგანაც ამდაგვარი ნისლოვანედი მართლაც არ ყოფილა ჯერ შენიშნული.

საერთოდ უნდა მივიღოთ, რომ შემთხვევითი კავშირის ჰიპოთეზა ამრეკლავ ნისლოვანედთა მიმართ მთლიანად დასაბუთებულია და სამართლიანი. რაც შეეხება ემისიურ ნისლოვანედთ, უნდა ითქვას, რომ ზემოდაღნიშნულ რიცხვობრივ შეუთანხმებლობის მიუხედავათ, სინამდვილეში მათი კავშირიც Bo და O ტიპის ვარსკვლავებთან აგრეთვე შემთხვევითია, რადგან P სიდიდეთა რიცხვობრივ მნიშვნელობათა გამოთვლისას არსებული განუზღვრელობა საკმარისად დიდია და მას შეეძლო გამოეწვია აღნიშნული შეუსაბამობა ექსპერიმენტალურ მონაცემებთან.

პირველი შეხედვით ზედმეტად გაბედულად მოსჩანს ჩვენი დასკვნა, რომ ემისიური და ამრეკლავი ნისლოვანედები არსებითად ერთიდაიმავე ტიპის ობიექტებს წარმოადგენენ, რომელთა სპექტრი მათ განმანათებელ ვარსკვლავთა სპექტრზე არის დამოკიდებული. მართლაც დღემდე ფიქრობდენ, რომ ამრეკლავი ნისლოვანედები საკმარისად მცირე მყარ ნაწილაკთაგან, ე. ი. კოსმიური მტვრისაგან შესდგებიან, მაშინ როცა ემისიური ნისლოვანედები აირწილაკთა სიმრავლეს წარმოადგენენ; მაგრამ, თუ მივიღებთ შემთხვევითი კავშირის ჰიპოთეზას, მაშინ დასკვნა ორთავე ობიექტის ერთდაიმავე ბუნების შესახებ აუცილებლობას წარმოადგენს.

მართლაც, ერთობ ძნელი იქნებოდა სხვაგვარად აგვეხსნა ის გარემოება, რომ ამრეკლავი, ე. ი. მტვროვანი ნისლოვანედები არ გვხვდება ბუნებაში O და Bo ტიპის ვარსკვლავებთან დაკავშირებული. პრინციპიალურად სავსებით მოსალოდნელია, რომ O და Bo ტიპის ვარსკვლავებს ისევე შეეძლოთ სივრცეში არსებულ კოსმიური მტვრის ღრუბელთა განათება, როგორც სხვა დანარჩენი, უფრო სუსტი სპექტრალური ტიპის ვარსკვლავთ. მეორეს მხრივ, ცნობილია ფაქტი ერთ და იმავე ნისლოვანედში არეკლილ და ემისიურ სპექტრთა თანაარსებობისა სწორედ ისეთ შემთხვევებში, როცა ნისლოვანედი B1

ტიპის ვარსკვლავთან არის კავშირში. ამრიგად, მივიღებთ რა ორთავე ტიპის ნისლოვანედთა ბუნების ერთგვაროვნების ჰიპოთეზას, ჩვენ უნდა დაუშვათ, რომ ნისლოვანედს შეუძლია როგორც არეკლილი, ისე ემისიური სპექტრის მოცემა იმისდამიხედვით, თუ როგორია იმ ვარსკვლავის სპექტრალური კლასი, რომელსაც იგი დაუახლოვდება სივრცეში ძრაობის დროს.

მოსალოდნელია, რომ ეს გარემოება გამოწვეულია მით, რომ O და Bo ტიპის ვარსკვლავები მტვეროვან ნისლოვანედებთან შეხვედრისას იწვევენ აირთა ინტენსიურ გამოყოფას კოსმიური მტვერიდან და ამ აირთა შემდგომი აღგზნებით უზრუნველყოფენ ნისლოვანედის ემისიურ სპექტრს; ამ მხრივ, იმ პროცესის ანალოგიური რაძ გვაქვს, რომელსაც მზესთან კომეტის მიახლოებისას აქვს ადგილი, როცა მყარ წილაკთაგან შედგენილ გულიდან გამოიყოფა გაზი, რომელიც წარმოშობს თავსა და კუდს და, რომელიც იმავე მზის გამოსხივების გავლენით ემისიურ სპექტრს იძლევა; მზისაგან დიდ მანძილზე კი კომეტებს არ აქვთ კუდი და აირადი გარსი და არეკლავენ მზის უწყვეტ სპექტრს.

თუ ცხრ. III-ის მეორე სვეტის ყველა რიცხვებს შევაჯამებთ, მივიღებთ, რომ ყველა ვარსკვლავები ერთად აღებულნი, ვარსკვლავთაშორისი სივრცის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს ანათებენ, სახელდობრ:

$$\Sigma P = 5\cdot2\times10^{-4}.$$

ამრიგად, რადგან ვარსკვლავებით განათებულია მთელი ვარსკვლავთაშორისი სივრცის მხოლოდ ორი მეათასედი ნაწილი და რადგან ნისლოვანედთა სივრცეში განაწილება შემთხვევითია და ვარსკვლავებზე დამოუკიდებელი, ამიტომ თვითეულ ნათელ დიფუზურ ნისლოვანედზე დაახლოებით ორი ათასი გაუნათებელი დიფუზური ნისლოვანედი მოდის. თუ ერთ საათიანი ექსპოზიციის შემთხვევაში 60″ რეფლექტორისათვის შესამჩნევ დიფუზურ ნისლოვანედთა რიცხვს 150-ით განვსაზღვრავთ, მაშინ იმავე ინსტრუმენტისათვის შესამჩნევად შესაძლო ყველა დიფუზურ ნისლოვანედთა რიცხვი დაახლოებით უნდა იყოს 3×10^5. ყველა 150 ნათელი ნისლოვანედი უნდა მდებარეობდეს ჩვენგან 2.000 პარსეკზე უფრო ახლო, რადგან უფრო შორი მანძილის შემთხვევაში კოსმიური შთანთქმა შეამცირებდა მათ ზედაპირულ სიკაშკაშეს და დაკვირვებისათვის მიუწვდომლად გახდიდა. მაშასადამე, ყველა 300.000 ბნელი ნისლოვანედნიც ჩვენგან 2.000 პარსეკზე უფრო ახლო უნდა მდებარეობდენ.

აქედან არ არის ძნელი ერთ კუბურ პარსეკში მოქცეულ ნისლოვანედთა საერთო რიცხვის ქვემო ზღვარის გამოთვლა. მართლაც, აღნიშნული ნისლოვანედნი უნდა მდებარეობდენ ცილინდრის შიგნით, რომლის ფუძის რადიუსი 2.000 პარსეკია, ხოლო სიმაღლე — 200 პარსეკს არ აღემატება. თუნდაც რომ დაუშვათ ცილინდრის სიმაღლისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა, ე. ი., რომ ნისლოვანედნი გვხვდებიან 100 პარსეკზედ უფრო დიდ მანძილზე გალაქტიკის სიბრტყიდან, გამოთვლებისას მაინც უნდა ვისარგებლოთ ნაჩვენები ციფრით —

200 პარსეკით, რადგან გალაქტიკის სიბრტყიდან 100 პარსეკზედ უფრო შორ მანძილებზე ნისლოვანედების გამნათებ ლ ვარსკვლავთა (უმთავრესად O და B ტიპების) კონცენტრაცია ერთობ მცირეა და ამ უბანში არსებ ლ ნისლოვანედთა წარმომადგენ ლთ არ ექნებათ ალბათობა ჩვენ მიერ ნაჩვენებ 150 ნათელ ობიექტებში მოხვედრისა. ამიტომ ეს ნისლოვანედები მიღებულ 300.000 ნისლოვანედთა რიცხვში არ შედიან.

ჩავთვლით რა, რომ ნაჩვენები 3×10^3 ნისლოვანედი განაწილებულია აღნიშნული ცილინდრის მოცულობის შიგნით, მივიღებთ რომ ყოველ 8.000 კუბურ პარსეკზე ერთი დიფუზური ნისლოვანედი მოდის. თუ გალაქტიკის სიბრტყეში ავიღებთ ჩვენგან l მანძილით დაშორებულ მხედველობის სხივს, მაშინ ამ უკანასკნელით გადაკვეთილ ნისლოვანედთა რიცხვი იქნება $n\sigma l$, სადაც σ არის ნისლოვანედის განივჭრილი, ხოლო n — ნისლოვანედთა რაოდენობა ერთ კუბურ პარსეკში. ზემოდ თქმულის მიხედვით $n=\frac{1}{8000}$. თუ ვიგულისხმებთ, რომ განივჭრილი σ დაახლოებით 25 კვადრატული პარსეკის ტოლია (რაც საკმარისად შეესაბამება იმ ფაქტს, რომ ნისლოვანედთა დიამეტრების მნიშვნელობანი გვხვდებიან 1 და 20 პარსეკს შუა), მაშინ ვღებულობთ, რომ როცა $l=1000$ პარსეკს, მხედველობის სხივი საშუალოდ 3 ნისლოვანედს გადაჰკვეთს.

სინამდვილეში ჩვენ მიერ აღებული ზღვარული მანძილი 2000 პარსეკის სიდიდით, ალბათ, ზედა ზღვარს წარმოადგენს. ამ მანძილის რამდენადმე გადიდება, მხედველობის სხივით გადაკვეთილ ნისლოვანედთა რიცხვისთვის სწრაფ ზრდას მოგვცემს. ქვემოდ განვიხილავთ საკითხს სინათლის შთანთქმის შესახებ ამ გაუნათებელი დიფუზური ნისლოვანედების მიერ.

მნათი ვარსკვლავის ხილულ სიდიდესა და ნისლოვანედამდე მის კუთხურ მანძილს შორის ურთიერთ მიმართების განზღვრის დროს, რაც Hubble-ის ფარდობის სახელწოდებით არის ცნობილი, იმთავითვე გულისხმობენ, რომ ვარსკვლავის სინათლეს ნისლოვანედი მთლიანად არეკლავს, ან, ყოველ შემთხვევაში, მის საკრძნობ ნაწილს მაინც. ის გარემოება, რომ დაკვირვებითი მასალა მთლიანად ადასტურებს ამ თეორიულ მოსაზრებას, მოწმობს რომ ასეთი თვალსაზრისი სწორია, ე. ი. მართლაც ხდება ნისლოვანედებიდან მათზე დაცემული სინათლის საგრძნობი ნაწილის არეკლა. ყოველ შემთხვევაში ეს ნაწილი აუცილებლად უნდა აღემატებოდეს ვარსკვლავთაგან ნისლოვანედებზე დაცემული სინათლის 10%, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში თეორიული და ექსპერიმენტალური ფარდობანი საშუალოდ ერთობ საგრძნობი სიდიდის განსხვავებებს მოგვცემდენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ნისლოვანედებიდან აირეკლება მიღებული სინათლის მთელი რაოდენობის არა ნაკლები 30%-სა; არეკლის ასეთი უნარი ნიშნავს, რომ ნისლოვანედთა უკან მოთავსებულ ვარსკვლავთა სინათლე 30%-ით, ე. ი. $0^m.3$ სუსტდება. თუ მივიღებთ ახლა მხედველობაში ზემოდმოყვანილ გამოთვლას, რომ 1000 პარსეკის მანძილზე სხივი საშუალოდ 3 ნისლოვანედს გადაჰკვეთს, მაშინ ნათელია, რომ გაუნათებელ დიფუზურ ნისლოვანედთა სიმრავლით გამოწვეული შთანთქმა გალაქტიკის სიბრტყეში არ იქნება $0^m.9$ ან ერთ

ვარსკვლავურ სიდიდეზე ნაკლები ერთ კილოპარსეკზედ. მეორეს მხრივ ცნობილია, რომ სივრცეში ადგილი აქვს საერთო კოსმიურ შთანთქმას, რომელიც ერთ კილოპარსეკზე $0^m.6-0^m.7$ აღწევს; აქედან, ბუნებრივია დაუშვათ, რომ საერთო კოსმიური შთანთქმა გაუნათებელ დიფუზურ ნისლოვანედთა ერთობლ ობით არის გამოწვეული. ასეთი დასკვნის სამართლიანობაში ჩვენ არ უნდა დაგვაეჭვოს იმ გარემოებამ, რომ ამ უკანასკნელთა მიერ გამოწვეული შთანთქმისათვის ჩვენ მიერ მიღებული ოდენობა რამდენადმე აღემატება კოსმიური შთანთქმის საშუალო კოეფიციენტს, რადგანაც, ამ ოდენობის გამოთვლისას ჩვენ ვს რკებლობდით ნისლოვანედთა განივჭრილის σ მნიშვნელობით, რომელიც ჩვენთვის, რასაკვირველია, ხუსტად არ არის ცნობილი, და რომელიც, მოსალოდნელია, გადაჭარბებით იყო აღებული. საერთო კოსმიური შთანთქმის ასეთი ინტერპრეტაცია ჩვენ მით უფრო სამართლიანად მიგვაჩნია, რომ უკვე დიდი ხანია იწვევდა ეჭვს მისი არათანაბარი განაწილება სივრცეში.

უნდა დაუმატოთ, რომ სხვადასხვა ნისლოვანედთ აუცილებლად სხვადასხვაგვარი ოპტიური სისქე აქვთ. გაუნათებელ ნისლოვანედთა შორის აუცილებლად უნდა იყოს ისეთებიც, რომელთა ოპტიური სისქე ერთ ვარსკვლავურ სიდიდეს აღემატება. ამდაგვარი გაუნათებელი ნისლოვანედები, მათ უკან მოთავსებულ ვარსკვლავთა სინათლის ინტენსიური შთანთქმის გამო, ჩვენ „ბნელ“ ნისლოვანედებათ უნდა მოგვეჩვენონ. ასეთი თვალსაზრისის მიხედვით, ნათელი და ბნელი ნისლოვანედები განხილული უნდა იქმნან როგორც წარმომადგენელნი დიფუზურ ნისლოვანედთა ერთობ ფართე კლასის, რომლის წევრთა უმრავლესობა განათებული არ არის. თვითეულ ნისლოვანედს შეუძლია აგრეთვე მის უკან მოთავსებულ ვარსკვლავთათვის კოლორ-ეფექტის გამოწვევა. G. Shajn-ი, რომ ლმაც დიფუზურ ნისლოვანედებს შიგნით მოთავსებულ ვარსკვლავთა კოლორ-ექსცესის საკითხი შეისწავლა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ კოლორ-ექსცესთა ნაწილი, სახელდობრ, 0.1 ვარსკვლავური სიდიდე, თვით დიფუზური ნისლოვანედით არის გამოწვეული, ხოლო, დანარჩენი ნაწილი კი შუალით ჩვენსა და ნისლოვანედს შორის. თუ ნისლოვანედი მასში მოთავსებულ ვარსკვლავისათვის ასეთი სიდიდის კოლორ-ექსცესს იწვევს, ცხადია, არა ნაკლები სიდიდის იქნება მათ მიერ გამოწვეული კოლორ-ექსცესი იმ ვარსკვლავთათვის, რომლებიც მათ უკან იმყოფებიან; ამიტომ, უნდა ჩავთვალოთ, რომ თვითეული დიფუზური ნისლოვანედი საშუალოდ $0^m.1$-დან $0^m.2$-დე სელექტურ შთანთქმას იწვევს. აქედან გამომდინარეობს, რომ თვითეულ კილოპარსეკზე სელექტური შთანთქმა $0^m.3$-ს უნდა აღემატებოდეს, რადგან სინათლის სხივი, როგორც ეს ზემოდ იყო აღნიშნული, თავის გზაზე საშუალოდ 3 ნისლოვანედს გადაჰკვეთს.

ქვემოდ ჩვენ დავასაბუთებთ, რომ იმ ფაქტების ერთობლიობა, რომელნიც შეეხებიან კოსმიურ შთანთქმას, როგორც საერთოს, ისე სელექტურს, — სავსებით ადასტურებს ჩვენ მიერ აქ წამოყენებულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ორთავე ეს შთანთქმა გამოწვეულია არა თანაბრად განაწილებული მატერიით სივრცეში, არამედ გაუნათებელ ცალკე ნისლოვანედთა ერთობლიობით.

მშთანთქმელი მატერიის არათანაბრად განაწილების მკვეთრად გამოსახული ხასიათი მთელ რიგ ავტორთა მიერ იყო აღნიშნული. ცნობილია, რომ ერთობ ხშირად გვხვდება შემთხვევები, როცა რომელიმე უბანი მძლავრი სელექტური შთანთქმით ერთობ ახლო (გალაქტიკური გრძედის სულ რამოდენიმე გრადუსის დაშორებით) მდებარეობს ისეთ უბანთან, სადაც სელექტური შთანთქმა საგრძნობლად მცირეა; სავსებით ანალოგიურად უნდა მივიღოთ, რომ რძის გზაზე სიკაშკაშის განაწილების არაერთგვაროვნება საგრძნობლად არის დამოკიდებული მშთანთქმელი მატერიის განაწილების არაერთგვაროვნებაზე. აღნიშნულ არაერთგვაროვნებათა მიზეზის ახსნა სავსებით შეუძლებელი იქნებოდა, თუ ჩვენ მშთანთქმელი ბნელი მატერიისათვის მივიღებდით ისეთ განაწილებას გალაქტიკაში, როცა მისი სიმკვრივე კოორდინატთა მძიმედ კლებად ფუნქციას წარმოადგენს. მაშინ, რეზულტატური შთანთქმა, რომელიც მხედველობითი სხივის გასწვრივ ინტეგრობით მიიღება, ზეციური სფეროს კოორდინატთა კიდევ უფრო მძიმედ კლებადი ფუნქცია უნდა ყოფილიყო. უკვე მარტო ეს გარემოებაც კმაკმარისია იმისათვის, რომ მივიდეთ დასკვნამდე, რომ ვარსკვლავთაშორისი სივრცეში განაწილებულ მშთანთქმელ მატერიას დაჭუცმაცებული და ნაკუწ-ნაკუწად შესქელებული სახე აქვს; აქედან სავსებით ბუნებრივია შეხედულება, რომლის თანახმად მატერიის კონცენტრაცია ამ შესქელებებშია განხორციელებული გაუნათებელ დიფუზურ ნისლოვანედთა სახით.

მეორეს მხრივ, ერთობ საინტერესოა ის ფაქტი (G. Shajn-ის მიერ მითითებული), რომ ბნელი ადგილები რძის გზაზე არ ემთხვევიან დიდი სელექტური შთანთქმის მქონე უბნებს [8]. მშთანთქმელი მატერიის უწყვეტი განაწილების თვალსაზრისით ეს ფაქტი სავსებით გაუგებარია. მართლაც, სელექტურ შთანთქმას სულ სხვა ზომის წილაკები იწვევენ, ვიდრე ნეიტრალურ შთანთქმას. საერთო შთანთქმა კი წარმოადგენს ნეიტრალური შთანთქმის და იმ შთანთქმის ჯამს, რომელიც სელექტურ შთანთქმაზე არის დამოკიდებული. იქ, სადაც სელექტური შთანთქმა არსებობს, მასზე დამოკიდებული საერთო შთანთქმაც მნიშვნელოვანი სიდიდის არის. ამიტომ, თუ დიდ და მცირე ზომის წილაკთა განაწილება ერთმანეთზე დამოუკიდებელია, ან, თუ ორთავე განაწილების შორის დადებითი კორელაცია არსებობს, მაშინ საშუალოდ იქ, სადაც სელექტური შთანთქმა დიდია, დიდი უნდა იყოს აგრეთვე საერთო შთანთქმაც. აქედან, თუ გამოვალთ მშთანთქმელი მატერიის უწყვეტი განაწილების თვალსაზრისიდან და მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ რძის გზის ზედაპირულ სიკაშკაშესა და გაწითლების შორის არ არსებობს კორელაცია, მივალთ ხელოვნურ დასკვნამდე იმის შესახებ, რომ დიდ და მცირე ზომის წილაკთა განაწილებათა შორის უარყოფითი კორელაცია არსებობს, ე. ი. სივრცის იმ უბანში, სადაც მოზრდილ წილაკთა რიცხვი დიდია, პატარა ზომის წილაკთა რაოდენობა მცირეა და პირიქით. ქვემოდ დავინახავთ, რომ ჩვენ მიერ განვითარებული თვალსაზრისი მშთანთქმელი შუალის და დიფუზურ ნისლოვანედთა ერთობლიობის იგივეობის შესახებ ამ ფაქტს სავსებით ბუნებრივი ახსნა-განმარტება შეიძლება მიეცეს ყოველგვარი დამატებითი სახის დაშვების გარეშე.

სიმარტივისათვის მივიღოთ, რომ თვითეული დიფუზური ნისლოვანედი ვარსკვლავური სიდიდის გარკვეულ ნაწილს შთანთქავს (როგორც ეს ზემოდ იყო ნაჩვენები, დაახლოებით $0^m.3$). ეს შთანთქმა ვარსკვლავურ სიდიდის ერთეულებში ავღნიშნოთ k-თი. შემდეგ, ვთქვათ, რომელიმე r მანძილზე სხივით გადაკვეთილ ნისლოვანედთა რიცხვი არის n; მაშინ, როგორც ცნობილია, სხივის ამ გზაზე ნისლოვანედთა საშუალო რიცხვის საშუალო კვადრატული სხვაობა $V\overline{n}$ იქნება; ამიტომ, ამ მანძილზე საშუალო შთანთქმა ვარსკვლავური სიდიდის ერთეულებში იქნება nk, ხოლო შთანთქმის საშუალო კვადრატული სხვაობა კი — $kV\overline{n}$. ცხადია, რაც უფრო დიდია მანძილი, ე. ი. რაც უფრო დიდია r, მით უფრო მეტია ვარსკვლავურ სიდიდის ერთეულებში გამოსახული შთანთქმის საშუალო კვადრატული სხვაობა, და, მაშასადამე, რაც უფრო შორსაა შესასწავლ კლასის ობიექტები, ამ ობიექტთა სიკაშკაშისთვის მით უფრო დიდი ფლუქტუაციები უნდა გამოიწვიოს კოსმიური შთანთქმის სიდიდის რყევამ. მთავარია ის, რომ მანძილის გადიდებისას იზრდება აგრეთვე შთანთქმის ფლუქტუაციებიც, გამოსახულნი ვარსკვლავურ სიდიდის ერთეულებში, ე. ი. ლოგარითმულ სკალაში. ამაშია განსხვავება ნისლოვანედთა რიცხვის რყევით გამოწვეულ სიკაშკაშის ფლუქტუაციებსა და ყველა სხვაგვარ ფლუქტუაციათა შორის, რომლებიც ფიზიკაში გვხვდება. ასე მაგ., თუ დავაკვირდებოდით თანაბრად განათებულ სფეროს, როცა ამ უკანასკნელსა და ჩვენს შორის მდებარეობს მუდმივი ოპტიური სისქის k მქონე ბნელ ნისლოვანედთა ერთობლიობა, მაშინ, ნისლოვანედთა საშუალო რიცხვის გადიდების დროს, ნისლოვანედებში გავლილი სინათლის ჩვენი დაკვირვებით ფიქსირებული ინტენსიობის ფლუქტუაცია, გამოსახული ვარსკვლავურ სიდიდეებში მანძილის ერთეულზე იქნებოდა მით უფრო მეტი, რაც მეტია ნისლოვანედთა საშუალო რიცხვი სინათლის სხივის გზაზე აღებული მიმართულებით. მაშასადამე, ბნელი და ნათელი უბნების კონტრასტიც რძის გზაზე უნდა გადიდებულიყო აგრეთვე ნისლოვანედთა რიცხვის გადიდებით. სწორედ ამის გამო არარეგულარობა საერთო და სელექტურ შთანთქმაში არა თუ არ უნდა კლებულობდეს, არამედ, პირიქით, უნდა მატულობდეს მანძილის გადიდებისას განსახილავ ობიექტებამდე. ამიტომ სასურველი იყო შეგვემოწმებინა ფლუქტუაციისათვის თეორიიდან გამომდინარე რიცხვითი მნიშვნელობა და მისი ზრდა მანძილთან ერთად.

მაგრამ ასეთი შემოწმება არ წარმოადგენს ისეთ მარტივ საქმეს, როგორც ეს ერთის შეხედვით სჩანს; ასე მაგ., თუ B ტიპის რომელიმე გარკვეული ქვეკლასის, ვთქვათ B_3 ვარსკვლავთა კოლორ-ექსცესს განვიხილავთ, დავინახავთ, რომ კოლორ-ექსცესთა სხვაობა შეიძლება წარმოიშვას არა მარტო შთანთქმითი ფლუქტუაციის შედეგად, არამედ იმის შედეგადაც, რომ ამ ვარსკვლავებს აბსოლუტურ სიდიდეთა ერთი გარკვეული დისპერსია აქვთ, და, მაშასადამე, მათი მანძილი ერთმანეთში პროცენტების მიხედვით საკმარისად დიდად განსხვავდება.

ჩვეულებრივად, სხვადასხვა ტიპის ვარსკვლავთათვის, შთანთქმის სელექტური კოეფიციენტის განსაზღვრის დროს ვარსკვლავთა მანძილი გამოჰყავთ იმ დაშვებიდან, რომ აღებულ ვარსკვლავს აღებული სპექტრალური ქვეკლასის საშუალო აბსოლუტური სიდიდე აქვს; სინამდვილეში კი აბსო-

ლუტური სიდიდე შესაძლოა განსხვავდებოდეს საშუალოდან და ამიტომ ასეთ გზით განზღვრული მანძილი არ იქნება სწორი. მანძილის არასისწორის გამო ასეთნაირად განზღვრული სელექტური შთანთქმის კოეფიციენტთათვის წარმოშობა ერთგვარი მოჩვენებითი დისპერსია. ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ ეს დისპერსია მანძილის პროპორციულად იზრდება და, პრაქტიკულად, ყველა შემთხვევებში აღემატება ზემოდგანხილულ სელექტური შთანთქმის კოეფიციენტთა ნამდვილ დისპერსიას. ამიტომ, ამ უკანასკნელის განზღვრის საკითხი ერთობ რთულდება.

ამ გართულებათა დაძლევის მიზნით სასურველია განვიხილოთ ისეთი ობიექტები, რომლთა მიმართ ჩვენ დაბეჯითებით ვიცით რომ ისინი ჩვენგან ერთი და იმავე მანძილით არიან დაშორებულნი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ შორეულ ობიექტთა შორის ასეთებს ორმაგი და ჯერადი ვარსკვლავთ-გროვები წარმოადგენენ. მაგ., ყოველგვარი ეჭვის გარეშეა, რომ χ და h Persei ჩვენგან ერთსა და იმავე მანძილით არის დაშორებული. ამიტომ ერთობ საინტერესოა გამოირკვეს საკითხი იმის შესახებ არსებობს, თუ არა კოლორ-ეჭსცესი ერთი მათგანისთვის მეორეს მიმართ. ამ საკითხის გადასაჭრელად საჭიროა ორთავე ვარსკვლავთ-გროვაში შემავალ ერთსადა-იმავე სპექტრალური ტიპის ვარსკვლავთათვის კოლორ-ექსცესთა სხვაობის შედარება. ამ მიზნით ჩვენ Thorndike-ს მიერ მიღებული[9] კოლორ-ექვივალენტებით ვისარგებლეთ. შედარებულ იყო ერთმანეთთან h Persei-ს თერთმეტი და χ Persei-ს ათი ვარსკვლავის კოლორ-ექსცესები; ამასთანავე ყველა აღებული ვარსკვლავები Bo—Ao სპექტრალური შუალედით იყო შემოსაზღვრული. ამ შედარებამ გვიჩვენა, რომ χ Persei-ს h Persei-ს მიმართ დადებითი კოლორ-ექვივალენტი აქვს, რომლის ოდენობა $0^m.24 \pm 0^m.07$ გამოისახება.

ეს შედეგი, თუმცა არასრულ მასალაზეა დაფუძნებული, მაგრამ მაინც მიგვითითებს იმ გარემოებაზე, რომ ერთი ვარსკვლავთ-გროვიდან მეორეზე გადასვლისას, ადგილი აქვს საკმარისად დიდ ფლუქტუაციას სელექტურ შთანთქმაში.

ზემოდ აღნიშნული იყო, რომ მშთანთქმელი მატერიის უწყვეტი განაწილების თვალსაზრისით შეუძლებელია აიხსნას ის ექსპერიმენტალური ფაქტი, რომ სელექტური შთანთქმის სიდიდესა და რძის გზის ზედაპირულ სიკაშკაშეს შორის კორელაცია არ არსებობს. ბნელი მატერიის წყვეტილი განაწილების თვალსაზრისით კი, ეს გარემოება ადვილად შეიძლება იქნეს განმარტებული. საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ რძის გზის ზედაპირული სიკაშკაშის მნიშვნელოვანი ცვალებადობა, როგორც ეს Kreiken-მა გვაჩვენა, მხოლოდ იმ ბნელ მატერიას შეუძლია გამოიწვიოს, რომელიც ჩვენგან არა უმეტეს 200 პარსეკის დაშორებით იმყოფება. ამიტომ ჩვენი თვალსაზრისის საფუძველზე შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ზედაპირული სიკაშკაშის განაწილება რძის გზაზე ძირითადად დამოკიდებულია იმ გაუნათებელ ნისლოვანედებზე, რომლებიც ჩვენგან 200 პარსეკზე უფრო ახლო მდებარეობენ.

მეორეს მხრივ, სელექტური შთანთქმა შესწავლილია ძირითადად Stebbins-ის და Huffer-ის შრომის[10] საფუძველზე, რომელიც წარმოადგენა მასალას ჩვენგან 500-600 პარსეკის დაშორებით მდებარე B ტიპის ვარსკვლავთა შესახებ. მაშასადამე, ამ მასალის საფუძველზე მიღებული სელექტური შთანთქმის კოეფიციენტის განაწილების სურათი, იმ გაუნათებელ ნისლოვანედთა განაწილებაზე არის დამოკიდებული, რომლებიც ჩვენგან 500 პარსეკის და კიდევ უფრო მეტი დაშორებით მდებარეობენ. ამრიგად, ზედაპირული სიკაშკაშის განაწილება რძის გზაზე, ერთის მხრივ, და სელექტური შთანთქმის კოეფიციენტის განაწილება, მეორეს მხრივ, ნისლოვანედთა ორ სხვადასხვა სიმრავლეზე არის დამოკიდებული. მართალია, ერთი ამ სიმრავლეთაგანი მეორის ნაწილს შეადგენს, მაგრამ, ნისლოვანედთა რიცხვის ფლუქტუაცია, ერთ რომელიმე სიმრავლეში აღებული მიმართულებით, ცხადია, თითქმის სავსებით დამოუკიდებელი იქნება იმავე მიმართულებით მეორე სიმრავლის ნისლოვანედთა რიცხვის ფლუქტუაციაზე; რძის გზის ზედაპირულ სიკაშკაშესა და სელექტური შთანთქმის კოეფიციენტს შორის თითქმის არავითარი კორელაცია არ უნდა არსებობდეს; არსებული დაკვირვებითი მასალა ამ საკითხში სავსებით ადასტურებს ჩვენ მიერ განვითარებულ თეორიის ამ შედეგს.

ამ შრომაში ჩვენ ვაჩვენეთ, რომ დიფუზური ნისლოვანედები თავიანთ გამნათებელ ვარსკვლავებთან არ იმყოფებიან გენეტიურ კავშირში და ამ უკანასკნელთ ისინი მხოლოდ შემთხვევით ხვდებიან სივრცეში ძრაობის დროს. ამრიგად, სისტემა — „ნისლოვანედი და მისი გამნათებელი ვარსკვლავი" — შემთხვევითი შეხვედრის პროდუქტად უნდა ჩაითვალოს. ამ გარემოებას იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ ბუნებაში გაუნათებელ დიფუზურ ნისლოვანედთა რიცხვი ერთობ დიდია და გალაქტიკურ სივრცეში უსისტემოდ არის განაწილებული.

სათანადო გაანგარიშებები გვარწმუნებენ, რომ ამ ნისლოვანედებით გამოწვეული შორეულ ვარსკვლავთა სინათლის შთანთქმის სიდიდე იმავე რიგისაა, როგორც დაკვირვებითი მასალის საფუძველზე მიღებული საერთო შთანთქმის რაოდენობა; ამიტომ, საერთო შთანთქმის მიზეზი სწორედ ამ გაუნათებელ ნისლოვანედებში უნდა ვეძიოთ. ამ თვალსაზრისით სავსებით გასაგებია, თუ რატომ აქვს ადგილი ზეციური სფეროს მეზობელ უბნებს შორის საერთო და სელექტურ შთანთქმის ფლუქტუაციათა დიდ მნიშვნელობებს. გარდა ამისა, ჩვენ მიერ ნაჩვენები იყო, რომ რძის გზის სხვადასხვა უბანთა ზედაპირულ სიკაშკაშესა და სელექტური შთანთქმის კოეფიციენტს შორის არავითარი კორელაცია არ არის მოსალოდნელი.

ჩვენ მიერ წამოყენებული თვალსაზრისის მიხედვით, არეკლითი, ემისიური და აგრეთვე „ბნელი" ნისლოვანედები სინამდვილეში დიფუზურ ნისლოვანედთა, როგორც ერთგვაროვან ობიექტთა კლასის, მხოლოდ ცალკე წარმომადგენლები არიან. ამასთანავე, დიფუზური ნისლოვანედები, რომელთაც დიდი ოპტიური სისქე აქვთ და არ არიან განათებული მაღალი სიკაშკაშის მქონე ვარსკვლავებით, ჩვენ მოგვეჩვენება როგორც ბნელი ნისლოვანედები; დიფუზური ნისლოვა-

ნედნი, რომლებიც B1 —M ტიპის ვარსკვლავებით არიან განათებული, ამ უკ
ნასკნელთა სინათლეს მხოლოდ არეკლავენ და ამრიგად ჰქმნიან ე. წ. ამრეკლ
ნისლოვანედთა ჯგუფს; დაბოლოს დიფუზური ნისლოვანედები, რომლებიც
და B0 ტიპის ვარსკვლავთა გამოსხივების არეში იმყოფებიან, ემისიურ სპექტრ
გვაძლევენ, თუმცა მათი ფიზიკური ბუნება ამრეკლავ ნისლოვანედთაგან თავდ
პირველად, ე. ი. სანამ ისინი თავიანთ გამნათებელ ვარსკვლავთ არ შეხვდებიან
არაფრით არ განსხვავდება. ასეთი შეხვედრის შემდეგ კი წარმოიშობა ერთ
გვარი განსხვავება, რომელიც თავისი ემპირიული გამოვლენით იმ განსხვავებ
ანალოგიურია, რომელიც შეშნეულია მზიდან ახლო და შორ მანძილზე მდებარ
კომეტებს შორის.

ამრიგად, ჩვენ მიერ წამოყენებული თვალსაზრისი საკმაოდ
ბუნებრივ ინტერპრეტაციას აძლევს დღემდე გადაუწყვეტელ მთელ რიგ საკით
ხებს, რომლებიც შეეხება როგორც ბნელ, ამრეკლავ და ემისიურ ნისლოვანედ
ისე სელექტურ და საერთო კოსმიურ შთანთქმასაც. ამასთანავე, ამ თვალსა
რისში მიღწეულია კოსმიური შთანთქმის და დიფუზურ ნისლოვანედების პრო
ლემათა გაერთიანება, რაც საშუალებას გვაძლევს უკეთაგდოთ ჰიპოთეზა განს
კუთრებული ბუნების მქონე უწყვეტად განაწილებული შუალის არსებობის შ
სახებ გალაქტიკაში.

სექტემბერი, 1937.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ბიულეტენი № 2. 1938
БЮЛЛЕТЕНЬ АБАСТУМАНСКОЙ АСТРОФИЗИЧЕСКОЙ ОБСЕРВАТОРИИ № 2. 1938
BULLETIN OF THE ABASTUMANI ASTROPHYSICAL OBSERVATORY No. 2. 1938

ახალ ვარსკვლავთა ტემპერატურის შესახებ ანთების საგრძნობ ფაზაში

შ. გორდელაძე

პრობლემათა იმ ერთობლიობიდან, რომელიც ახალ ვარსკვლავთა ანთების მოვლენასთან არის დაკავშირებული, ერთ-ერთ აქტუალურ და მეტად მნიშვნელოვან საკითხს ტემპერატურის ცვალებადობა წარმოადგენს.

ცნობილია, რომ ანთების ეპოქაში ახალ ვარსკვლავთა სპექტრი ერთობ მდიდარია გრანდიოზული ცვლილებებით, რომელთაგან მკაფიოდ შეიძლება გამოიყოს ზოგიერთი კანონზომიერებითი ხასიათის თავისებურებანი. ასეთია, კერძოდ, ახალ ვარსკვლავთა სპექტრში მთავარი მაქსიმუმის დადგომის მომენტში ინტენსიური ნათელი ზოლების წარმოშობა. ეს მოვლენა იმდენად დამახასიათებელია ვარსკვლავთა სპექტრთათვის, რომ იმისდა მიხედვით მოიპოვება, თუ არა, სპექტრში აღნიშნული ნათელი ზოლები, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას ჰქონდა, თუ არა, ადგილი სიკაშკაშის მთავარ მაქსიმუმს, ე. ი., იმყოფება ახალი ვარსკვლავი სიკაშკაშის ზრდის თუ დაცემის ეპოქაში.

ახალ ვარსკვლავთა სპექტრი მთავარი მაქსიმუმის დადგომამდე წარმოადგენს ძირითადად აბსორბციულ სპექტრს, რომელსაც თან ახლავს სუსტი ემისიური კომპონენტები და, ამ მხრივ, სპექტრი შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად ნორმალურად ზებუმბერაზ ვარსკვლავთათვის (ე. წ. სუპერ-გიგანტთათვის). სწორედ ამის გამო და აგრეთვე ბნელი ხაზების შედარებითი ინტენსიობის დაკვირვებათა საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ახალ ვარსკვლავთა ტემპერატურა ანთებამდე და განსაკუთრებით მთავარ მაქსიმუმამდე არ აღემატება 10^4 *grad*.

ახალ ვარსკვლავთა ევოლუციასთან დაკავშირებით ტემპერატურის ცვალებადობის შესწავლისათვის ძირითადია შემდეგი საკითხების გამორკვევა:

1. როგორია ვარსკვლავის ტემპერატურა ანთებამდე;

2. იცვლება, თუ არა ვარსკვლავის ტემპერატურა ანთების მომენტიდან სიკაშკაშის მთავარ მაქსიმუმამდე;

3. როგორ იცვლება ტემპერატურა სიკაშკაშის მთავარ მაქსიმუმიდან იმ მომენტამდე, როდესაც ახალი ვარსკვლავი მთლიანად ჰკარგავს ნამატ სიკაშკაშეს და იძენს სიკაშკაშეს, რომელიც მას ანთებამდე ჰქონდა;

4. როგორია ვარსკვლავის ტემპერატურა ანთების საბოლოო ფაზაში.

უდავოა, რომ ამ საკითხზე პასუხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ დაკვირვებითი მასალის და, კერძოდ, სპექტროსკოპიული მონაცემების შესწავლის საფუძველზე. სამწუხაროდ, სპექტროსკოპიული მონაცემები ახალ ვარსკვლავთა ანთების სხვადასხვა ფაზის მიმართ ერთიდაიმავე სისრულით არ მოგვეპოვება; განსაკუთრებით არასრულია ეს მონაცემები ახალ ვარსკვლავთა ანთების პირველ პერიოდისათვის, ე. ი., მთავარ მაქსიმუმამდე. ზედმეტია აგრეთვე ლაპარაკი რაიმე მასალების შესახებ ვარსკვლავის სპექტრის მიმართ ანთებამდე. ამრიგად, არა თუ სპექტროსკოპიული მასალა, არამედ, ხშირად, ფოტოგრაფიული მასალაც კი არ მოგვეპოვება ვარსკვლავთა შესახებ ანთებამდე. ამიტომ, ერთობ ძნელია ვიქონიოთ რაიმე გარკვეული წარმოდგენა იმ ტემპერატურის შესახებ, რომელიც ახალ ვარსკვლავს ჰქონდა ანთებამდე. შეიძლება მიუთითოთ მხოლოდ იმ გარემოებაზე, რომ ახალი ვარსკვლავები ანთებამდე ეკუთვნიან ადრინდელ სპექტრალურ კლასებს, როგორც ეს პროფ. ბ. ვორონცოვ-ველიამინოვმა[1] აღნიშნა თავისი გამოკვლევების საფუძველზე. სწორედ ამიტომ, ამ უკანასკნელთან ერთად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საერთოდ ახალი ვარსკვლავის ტემპერატურა ანთებამდე არ უნდა აღემატებოდეს 10^4 *grad*.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ანთების დასაწყისიდან მთავარ მაქსიმუმამდე. ამ ეპოქის მიმართ დაგროვილი სპექტროსკოპიული მასალაც არ შეიძლება მივიჩნიოთ საკმარისად გარკვეულ მოსაზრებათა დასასაბუთებლად. შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ, რომ ამ ეპოქაში ახალ ვარსკვლავთა სპექტრი ძირითადად უსათუოდ შთანთქმითია და ბნელ ხაზებს თან ახლავს ემისიური კომპონენტები, ე. ი. ისეთი ხასიათისაა, როგორც ზებუმბერაზ ვარსკვლავთა სპექტრები. ეს გარემოება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მთავარ მაქსიმუმამდე ვარსკვლავის ტემპერატურა დაახლოებით 10^4 *grad* უახლოვდება. ამრიგად, გამომდინარეობს, რომ ანთებიდან სიკაშკაშის მთავარ მაქსიმუმის დადგომამდე ტემპერატურა თითქის უცვლელი რჩება. უნდა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ ეპოქაში არც არის მოსალოდნელი ტემპერატურის ზრდა; პირიქით, თერმოდინამიურ მოსაზრებათა საფუძველზე შეიძლებოდა გვიფიქრა, რომ ადგილი ექნებოდა ტემპერატურის ერთგვარ დაცემას, რაც უნდა მომხდარიყო ვარსკვლავის გარე ფენების აირადი მასის გაფრთოებისათვის საჭირო მუშაობის უზრუნველსაყოფად.

თუ ანთების განხილულ ეპოქათა მიმართ ლაპარაკი შეიძლებოდა სპექტროსკოპიული მასალის სიმცირის შესახებ, სრულიად საწინააღმდეგო ითქმის მთავარი მაქსიმუმის შემდგომი ეპოქის მიმართ; თითქმის ყველა ახალ ვარსკვლავთა შესახებ, განსაკუთრებით მიმდინარე საუკუნის ახალ ვარსკვლავთა მიმართ, მთავარი მაქსიმუმის შემდგომი ეპოქისათვის ერთობ მდიდარი სპექტროსკოპიული მასალა მოგვეპოვება. ამ გარემოების მიუხედავად, ამ ეპოქაში აგრეთვე

ძნელია ახალ ვარსკვლავთა ტემპერატურაზე და მის ცვლილებაზე მსჯელობა. ეს სიძნელე თავის სათავეს ღებულობს სპექტრის იმ სირთულეში, რომელიც გამოწვეულია მთავარი მაქსიმუმის შემდეგ სპექტრში ნათელი და ფართე ემისიური ზოლების წარმოშობით აბსორბციულ ხაზებთან ერთად. ეს სირთულე ყოველგვარ საშუალებას გვართმევს ამ ეპოქაში ახალი ვარსკვლავის ტემპერატურის შესახებ გამოვიყენოთ ფერების მეთოდი, ვინაიდან სწრაფ ცვალებადობას სპექტრში შეუძლია შეცდომაში შეგვიყვანოს ვარსკვლავის ფერის შეფასების დროს. ამდენადვე არასაიმედოა Planck-ის მეთოდი, რომელიც ენერგიის სპექტრში განაწილების გაზომვას, და, მაშასადამე, უწყვეტ სპექტრის გამოყოფას მოითხოვს. ეს კი, როგორც მითითებული იყო, შეუძლებელია სპექტრთა სირთულისა და სწრაფი ცვლებადობის გამო. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მეთოდები, რომლებიც ჩვეულებრივად მისაღებია და გამოსაყენებელი ვარსკვლავთა ტემპერატურის განსაზღვრისათვის, მოცემულ შემთხვევაში სავსებით უვარგისად უნდა იქნენ მიჩნეულნი, ისევე, როგორც ამას ადგილი აქვს ყველა იმ შემთხვევაში, როცა საკითხი ადრინდელ და ზეადრინდელ სპექტრალურ ტიპის ვარსკვლავებს ეხება.

უკანასკნელ დროს ტემპერატურის განსაზღვრისათვის ამ ეპოქაში Zanstra-ს[2] მეთოდით სარგებლობენ.

Zanstra-ს მეთოდით სარგებლობენ აგრეთვე ტემპერატურის გასაზომად ახალ ვარსკვლავთა უკანასკნელ პერიოდში. ასეთი თვალსაზრისის გამართლება S. W. Beals-მა ჰპოვა იმ ფაქტში, რომ ყოფილი ახალი ვარსკვლავები ანთების საბოლოო ეპოქაში წარმოადგენენ Wolf-Rayet ტიპის ვარსკვლავებს, რომელთა მიმართაც Zanstra-ს მეთოდი გამოიყენა[3].

ამ შრომაში ჩვენ მიზნად ვისახავთ დავასაბუთოთ, როგორც ახალ ვარსკვლავთა მიმართ, ისე ვარსკვლავთა უფრო ზოგადი კლასის — Wolf-Rayet ტიპის ვარსკვლავთა მიმართაც, Zanstra-ს მეთოდის გამოყენების მიუღებლობა და არასამართლიანობა. როგორც ცნობილია, Zanstra-მ თავისი მეთოდი დაამუშავა და წამოაყენა პლანეტუარ ნისლოვანედთა გულის, ე. ი. ცენტრალური ვარსკვლავის ტემპერატურის განსაზღვრის მიზნით. ეს მეთოდი დაფუძნებულია აირად ნისლოვანედთა ნათების თეორიაზე, რომელიც თავის დროზე ჩამოყალიბებული და განვითარებული იყო Rosseland-ის და Zanstra-ს მიერ.

Rosseland-ის დებულებიდან, რომ $1 \to n \to (n-1) \to \ldots 2 \to 1$ ტიპის გადასვლები გაცილებით უფრო ხშირად ხდება, ვიდრე $1 \to 2 \to \ldots (n-1) \to n \to 1$ ტიპის გადასვლები, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ცენტრალური ვარსკვლავის თვითეული ულტრაიისფერი ქვანტი აირად გარსში წარმოშობს Balmer-ის სერიის ერთ ქვანტს და აგრეთვე ერთ L_α ქვანტს Lyman-ის სერიის მეთაური ხაზის სახით.

Zanstra-ს მეთოდში სწორედ ეს გარემოება არის გამოყენებული. ამ მეთოდით ტემპერატურის განსაზღვრა დამყარებულია ვარსკვლავის ულტრაიისფერი გამოსხივების ინტენსივობისა და აირადი გარსის უწყვეტი სპექტრის ინტენსივობის ურთიერთ ფარდობაზე; ეს უკანასკნელი წარმოადგენს ექსპერიმენტალურ სიდიდეს, რომელიც Zanstra-ს მეთოდში A_ν-ით არის აღნიშნული,

რადგან უწყვეტი სპექტრის ინტენსივობა სპექტრის ოპტიურ უბნში Balmer-ის სერიის ქვანტთა საერთო რიცხვის ფუნქციას წარმოადგენს, რომელიც გარსში Balmer-ის საზღვრის მიღმა შთანთქმული, ცენტრალური ვარსკვლავის მიერ გამოსხივებული ენერგიის ხარჯზე წარმოიშობა; ამიტომ სიდიდე A_v და, მაშასადამე, ტემპერატურის ოდენობაც Balmer-ის სერიის ქვანტთა საერთო რიცხვზე იქნება დამოკიდებული. აქედან ცხადია, რომ ტემპერატურის ამ გზით განზღვრული მნიშვნელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სწორი (ან საკმარისად მიახლოებული), თუ Balmer-ის სერიის ქვანტების აირად გარსში წარმოშობა ვარსკვლავის მხოლოდ ულტრაიისფერი ენერგიის ხარჯზე მოხდება, ე. ი. თუ ვარსკვლავის აირად გარსში Balmer-ის სიხშირეთა წარმოშობის ძირითადი ფაქტორი მხოლოდ Lyman-ის სერიის საზღვრის მიღმა შთანთქმული ენერგია იქნება. Zanstra-ს მეთოდში ასეთი პირობა წინასწარ ნაგულისხმევია და სწორედ ეს გარემოება წარმოა გენს ამ მეთოდის სუსტ მხარეს.

უდავოა, რომ ცენტრალური ვარსკვლავის ულტრაიისფერი ენერგია, შთანთქმული გარსში Lyman-ის სერიის საზღვრის მიღმა, რეკომბინაციის პროცესის შედეგად კასკადური გადასვლების გზით ν_{32} სიხშირეთა ერთობლიობით გამოსხივდება და, რომ, ამ მხრივ, ეს უკანასკნელი ვარსკვლავის ულტრაიისფერი ენერგიის ერთგვარ საზომს წარმოადგენს; მაგრამ, ამასთანავე ერთად, არ უნდა იქნეს უგულველყოფილი, რომ აირად გარსში Balmer-ის სერიის ქვანტები შეიძლება წარმოიშვას სხვა გზითაც, სახელდობრ, ვარსკვლავის მიერ Balmer-ის კონტინუუმში გამოსხივებული ენერგიის და ამ უკანასკნელის აირად გარსში Balmer-ის სერიის საზღვრის მიღმა შთანთქმისა და შემდგომი გამოსხივების პროცესთა გზით. ასეთი თვალსაზრისის შემოტანა ნიშნავს შემდეგს: აირადი გარსის ატომთა იონიზაცია შეიძლება მოხდეს არა მარტო ძირითად მდგომარეობიდან (Lyman-ის სერიის მიღმა შთანთქმის შემთხვევა), არამედ მეორე მდგომარეობიდანაც (Balmer-ის სერიის მიღმა შთანთქმის შემთხვევა) და, მაშინ, აირად გარსში წარმოშობა Balmer-ის სერიის ქვანტთა საერთო რიცხვი და, მაშასადამე, სპექტრის ოპტიური უბნის უწყვეტი სპექტრის ინტენსიობაც, ორთავე შესაძლო პროცესზე იქნება დამოკიდებული.

Balmer-ის სერიის ქვანტთა საერთო რაოდენობა აირად გარსში Q_B-თი აღვნიშნოთ, Lyman-ის სერიის საზღვრის მიღმა შთანთქმული ენერგიის ხარჯზე წარმოშობილი იმავე სერიის ქვანტთა რაოდენობა Q_1-ით, ხოლო Balmer-ის სერიის საზღვრის მიღმა შთანთქმული ენერგიის ხარჯზე წარმოშობილის — Q_2-ით, მაშინ ცხადია, რომ $Q_B = Q_1 + Q_2$. შევნიშნავთ, რომ Rosseland-ის ზემოთაღნიშნული დებულებიდან გამომდინარე შედეგის თანახმად ადგილი ექნება ტოლობას:

$$Q_1 = Q_{ue}, \tag{1}$$

სადაც Q_{ue}-ით აღნიშნულია ცენტრალური ვარსკვლავის მიერ გამოსხივებული ულტრაიისფერ ქვანტთა საერთო რაოდენობა.

ზემოდ განვითარებული თვალსაზრისიდან ნათელია, რომ ექსპერიმენტალური სიდიდე A_v და, მაშასადამე, Zanstra-ს მეთოდიც მხოლოდ მაშინ გვაძლევს ვარსკვლავის ტემპერატურის საკმარისად მიახლოებულ მნიშვნელობას, როცა ადგილი აქვს ტოლობას:

$$Q_B = Q_{ue},$$

რომლის განხორციელება, თავის მხრივ, მოითხოვს, რომ

$$Q_1 \gg Q_2,$$

რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება Q_2 ქვანტთა გაელენის უკუგდება. პირიქით, იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ ადგილი აქვს წინააღმდეგს, ე. ი., რომ

$$Q_1 \ll Q_2$$

მაშინ Zanstra-ს მეთოდის გამოყენებით განზღვრული ტემპერატურის მნიშვნელობა აუცილებლად იქნება მეტი, ვიდრე ის მნიშვნელობა, რომელიც ვარსკვლავს სინამდვილეში აქვს. აქედან ნათელია, რომ ჩვენ მიერ დასმული პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია $\frac{Q_2}{Q_1}$ ფარდობის შეფასება.

ატომთა იონიზაცია, როგორც ძირითადი მდგომარეობიდან, ისე მეორე მდგომარეობიდან, პრინციპიალურად ყოველგვარი ტიპის ნისლოვან გარსშია მოსალოდნელი, მაგრამ უდავოა, რომ ამა თუ იმ ტიპის გარსთათვის შეუძლებელია ერთი და იმავე ალბათობით ველოდეთ ორთავე მოვლენის განხორციელებას. ამ მოვლენათაგან თვითეული მათგანის დადგომის ალბათობა, ცხადია, პროპორციული იქნება, ერთის მხრივ, შესაბამ ენერგეტიულ მდგომარეობაში მყოფ ატომთა საერთო რიცხვისა გარსში, ხოლო, მეორეს მხრივ, ცენტრალური ვარსკვლავის სათანადო მონოქრომატიულ გამოსხივების ინტენსივობისა; ამიტომ ფარდობა $\frac{Q_2}{Q_1}$ სხვადასხვაგვარ აირად გარსის შემთხვევაში სხვადასხვა სიდიდის იქნება.

ზოგადობის დაცვის მიზნით ჩვენ განვიხილავთ აირად გარსთა ისეთ კატეგორიას, რომელთათვის დილუციის ფაქტორი ერთ მეასედს არ აღემატება; ასეთი პირობის შემოტანა საშუალებას მოგვცემს გავავრცელოთ ქვემოდ განვითარებული თეორია როგორც პლანეტურ ნისლოვანედებზე, ისე Wolf-Rayet ტიპის და, აგრეთვე, Be ტიპის ვარსკვლავებზედაც. მეორეს მხრივ, იგივე პირობა უფლებას გვაძლევს განსახილავ აირად გარსთა ფენები ჩავთვალოთ ბრტყელბრტყელ ფენებად და, მაშასადამე, სფერული პრობლემა დავიყვანოთ უფრო მარტივი სახის ბრტყელსწვრივი შუალის ამოცანაზე.

ამასთანავე, ჩვენ შემოვიღებთ პირობას, რომ აირადი გარსის ატომები იმყოფებიან ოთხ ენერგეტიულ მდგომარეობაში და რომ მეოთხე მდგომარეობა შეესაბამება ატომთა იონიზაციას.

ცხადია, რომ $\frac{Q_2}{Q_1}$ ფარდობის შეფასებისათვის ყველაზედ უფრო ბუნებრივი გზა ვარსკვლავის ენერგიის იმ საერთო რაოდენობის გამორკვევა არის, რომელიც გარსში შთაინთქმება Lyman-ის სერიის და Balmer-ის სერიის საზღვართა მიღმა ცალ-ცალკე. ჩვენც ამ გზას ავირჩევთ.

შეეფასებით უკვე აირად გარსის მიერ Lyman-ის სერიის საზღვრის მიღმა შთანთქმული ენერგია. შთანთქმისატიული სხივოსნური ენერგიის ნაკადი აღვნიშნოთ H_ν-თი; მაშინ სხივირის ელემენტზე $d\nu$ სრული ნაკადისათვის გვექნება $4\pi R_*^2 H_\nu d\nu$, სადაც R_*—გარსკვლავის რადიუსს წარმოადგენს.

ვარსკვლავის მიერ გამოსხივებულ ულტრაიისფერ ქვანტთა მთელი რაოდენობისათვის ვღებულობთ გამოთქმას:

$$\frac{4\pi R_*^2}{h}\int_{\nu_0}^{\infty}\frac{H_\nu}{\nu}\,d\nu.$$

რადგან

$$H_\nu=\frac{c}{4\pi}\rho_\nu,$$

ხოლო

$$\rho_\nu=\frac{8\pi h\nu^3}{c^3}\,\frac{1}{e^{\frac{h\nu}{KT}}-1},$$

საბოლოოდ გვექნება:

$$Q_{uv}=\frac{8\pi^2R_*^2}{c^2}\int_{\nu_0}^{\infty}\frac{\nu^2}{e^{\frac{h\nu}{KT}}-1}\,d\nu=\frac{8\pi^2R_*^2}{c^2}\,\nu_{11}^2\Delta\nu_{11}\,\frac{1}{e^{\frac{h\nu}{KT}}-1},$$

ანუ (1) ტოლობის თანახმად:

$$Q_1=\frac{8\pi^2R_*^2}{c^2}\,\nu_{11}^2\Delta\nu_{11}\,\frac{1}{e^{\frac{h\nu}{KT}}-1}, \qquad (2)$$

სადაც c სინათლის სიჩქარეს წარმოადგენს.

ვარსკვლავის ენერგია, რომელიც შთანთქმულია აირად გარსში Balmer-ის სერიის საზღვრის მიღმა, აღვნიშნოთ E-თი. ცხადია, რომ ამ ენერგიის რაოდენობა პროპორციული იქნება მეორე მდგომარეობაში მყოფ ატომთა საერთო რიცხვისა n_2, მეორე მდგომარეობიდან ატომთა იონიზაციის ალბათობისა და, აგრეთვე, ენერგიის სიმკვრივის ρ_{21}, რომელიც შეესაბამება ატომთა მეორე მდგომარეობიდან იონიზაციას; ამიტომ შეგვიძლია დავწეროთ:

$$E=4\pi r_2^2 h\nu_{21}B_{21}\int_{r_1}^{r_2}n_2\rho_{21}dr, \qquad (3)$$

სადაც r_1 წარმოადგენს გარსის გარე რადიუსს, ხოლო r_2—შიგა რადიუსს.

ცხადია, რომ (3) ინტეგრალის ამოხსნისათვის საჭიროა ინტეგრალს ქვეშ მოთავსებულ სიდიდეთა წარმოდგენა გარკვეული ფუნქციების სახით, რაც სხივოსნური ენერგიის გადატანის პირობათა განხილვით შეიძლება იქნეს უზრუნველყოფილი.

ჩვენ მივიღებთ, რომ განსახილავ აირად გარსში ატომთა ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაში გადასვლა მხოლოდ გამოსხივებისა და შთანთქმის გავლენით ხდება და, რომ ატომთა აღგზნება ან იონიზაცია წილაკთშორისი შეხლის გამო ნაკლებად ალბათურია.

ჩვენ მივიღებთ, აგრეთვე, რომ ატომების მდგომარეობათა მიხედვით განაწილება სტაციონალურია, ე. ი. $\frac{dn_i}{dt}=0$.

ასეთ პირობათა შემოღება ერთის შეხედვით ასუსტებს მოსალოდნელ შედეგების ზოგადობას, ვინაიდან Wolf-Rayet ტიპის და, მაშასადამე, ახალ ვარსკვლავთა მიმართ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ არ არის სამართლიანი ჩვენ მიერ შემოღებული პირობები. ნამდვილად კი ამ პირობების შემოღება სრულიად არ ამცირებს გარსთა იმ ერთობლიობას, რომელზედაც ჩვენი შედეგების გავრცელება არის შესაძლებელი. მართლაც, მთავარი მაქსიმუმის შემდეგ ახალი ვარსკვლავის ეფექტიური რადიუსი, მატერიის დენადობის სიმძლავრის შესუსტების გამო იმდენად მცირდება, რომ აირწილაკების დიდი სიჩქარის გამო დრო, რომელიც საჭიროა ამ რადიუსის გავლისათვის, გაცილებით უფრო მცირეა, ვიდრე დროის ის შუალედი, რომელშიაც დენადობის სიმძლავრის შესამჩნევი ცვალებადობა ხდება. ამიტომ მატერიის დენადობა მთავარი მაქსიმუმის შემდეგ უნდა ჩავთვალოთ სტაციონალურად, ისე როგორც ამას აქვს ადგილი Wolf-Rayet ტიპის ვარსკვლავთა შემთხვევაში. თავის მხრივ დენადობის სტაციონარობა და აგრეთვე ის გარემოება, რომ დრო, რომელიც საჭიროა ატომების მდგომარეობათა მიხედვით განაწილებისათვის, ერთობ მცირეა იმ დროსთან შედარებით, რომლის განმავლობაშიც საერთო ფიზიკური პირობები აირად გარსში აუცილებლად შეიძლება ჩაითვალოს სტაციონალურად, უფლებას გვაძლევს შემოღებული პირობები სამართლიანად ჩავთვალოთ ყველა ტიპის აირად გარსთათვის, რომელთა დილუციის ფაქტორი ერთ მეხედზე ნაკლებია.

ამ უკანასკნელთა და, აგრეთვე, ზემოთაღნიშნულ პირობათა საფუძველზე შეგვიძლია დავწეროთ განტოლებანი:

$$\begin{aligned}
&n_1[B_{12}\rho_{12}+B_{13}\rho_{13}+B_{14}\rho_{14}]=n_2[B_{21}\rho_{21}+A_{21}]+n_3[B_{31}\rho_{31}+A_{31}]+n_4[B_{41}\rho_{41}+A_{41}]\\
&n_1B_{14}\rho_{14}+n_2B_{24}\rho_{24}+n_3B_{34}\rho_{34}=n_4[(B_{41}\rho_{41}+A_{41})+(B_{42}\rho_{42}+A_{42})+(B_{43}\rho_{43}+A_{43})] \qquad (4)\\
&n_2[(B_{21}\rho_{21}+A_{21})+B_{23}\rho_{23}+B_{24}\rho_{24}]=n_1B_{12}\rho_{12}+n_3[B_{32}\rho_{32}+A_{32}]+n_4[B_{42}\rho_{42}+A_{42}]
\end{aligned}$$

სადაც n_i იმ ატომთა საერთო რიცხვია მოცულობის ერთეულში, რომელნიც i-ურ მდგომარეობაში იმყოფებიან; ρ_{ik} სხივოსნური ენერგიის სიმკვრივეა იმ სიხშირეში, რომელიც გადასვლას $i\to k$ შეესაბამება; B_{ik}, B_{ki}—ინდუცირებულ

გადასვლათა, ხოლო A_{ik} — სპონტანურ გადასვლათა ალბათობის კოეფიციენტებია.

ყოველი ρ_{ik} წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$\rho_{ik}=\sigma_{ik}\,\overline{\rho_{ik}}, \tag{4}$$

სადაც σ_{ik} წარმოადგენს მუდმივ მამრავლს Planck-ის ფორმულაში ენერგიის სიმკვრივისათვის. სიდიდეს $\overline{\rho_{ik}}$ უწოდოთ „სპეციფიური სიმკვრივე", რადგან ის გარკვეული სიხშირის გამოსხივებისათვის არის დამახასიათებელი. მივიღოთ აგრეთვე მხედველობაში, რომ იძულებრივ და სპონტანურ გადასვლათა ალბათობის კოეფიციენტება შორის არსებობა დამოკიდებულება:

$$B_{ki}=\frac{g_i}{g_k}B_{ik};\quad A_{ki}=\frac{g_i}{g_k}B_{ik}\sigma_{ik},\ (i<k), \tag{4'}$$

სადაც g_i და g_k წარმოადგენენ ატომთა სტატისტიკურ წონას i-ურ და k-ურ მდგომარეობებში.

სიმარტივისათვის ჩვენ დაუშვათ, რომ ურთიერთი გადასვლა ყველა სხვა შესაძლო გადასვლებიდან აკრძალულია, ასეთი დაშვება მით უფრო ბუნებრივია, რომ ყველა შესაძლო გადასვლათა ერთსა და იმავე დროს განხორციელება ნაკლებად მოსალოდნელია. კერძოდ, ჩვენ მივიღებთ, რომ $B_{13}=0$. მაშინ, ამ უკანასკნელისა და (4') და (4'')-ის საფუძველზე, (4) გადაიწერება შემდეგი სახით:

$$n_1[B_{12}\sigma_{12}\overline{\rho_{12}}+B_{13}\sigma_{13}\overline{\rho_{13}}]=n_2\frac{g_1}{g_2}B_{12}\sigma_{12}(\overline{\rho_{12}}+1)+n_4\frac{g_1}{g_4}B_{14}\sigma_{14}(\overline{\rho_{14}}+1)$$

$$n_1B_{12}\sigma_{12}\overline{\rho_{12}}+n_2B_{24}\sigma_{24}\overline{\rho_{24}}+n_3B_{24}\sigma_{24}\overline{\rho_{24}}=n_4\left[\frac{g_1}{g_4}B_{14}\sigma_{14}(\overline{\rho_{14}}+1)+\right.$$

$$\left.+\frac{g_2}{g_4}B_{24}\sigma_{24}(\overline{\rho_{24}}+1)+\frac{g_3}{g_4}B_{34}\sigma_{34}(\overline{\rho_{34}}+1)\right] \tag{5}$$

$$n_2\left[\frac{g_1}{g_2}B_{12}\sigma_{12}(\overline{\rho_{12}}+1)+B_{24}\sigma_{24}\overline{\rho_{24}}+B_{23}\sigma_{23}\overline{\rho_{23}}\right]=h_1B_{12}\sigma_{12}\overline{\rho_{12}}+n_3\frac{g_2}{g_3}B_{23}\sigma_{23}(\overline{\rho_{23}}+1)+$$

$$+n_4\frac{g_2}{g_4}B_{24}\sigma_{24}(\overline{\rho_{24}}+1)\ .$$

შევნიშნავთ, რომ რადგან მეოთხე მდგომარეობა იონიზაციას შეესაბამება, ამიტომ ყოველი B_{i4} $(i=1,\ 2,\ 3)$ უნდა განვიხილოთ, როგორც ატომის იონიზაციის

ალბათობის კოეფიციენტი, რომელიც რეკომბინაციის კოეფიციენტებთან (4'') სახის დამოკიდებულებაში იმყოფება. ამასთანავე g_1-თვის გვექნება:

$$g_1=\frac{g^+}{n_e}G, \tag{5'}$$

სადაც g^+ ნორმალურ მდგომარეობაში მყოფ იონიზირებულ ატომთა სტატისტიკურ წონას წარმოადგენს, n_e — თავისუფალ ელექტრონთა საერთო რიცხვს, ხოლო სიდიდე G გამოისახება ტოლობით:

$$G=\frac{(2\pi mkT)^{3/2}}{h^3}, \tag{5''}$$

სადაც m ელექტრონის მასას წარმოადგენს, k — Boltzmann-ის მუდმივს, T — აბსოლუტურ ტემპერატურას, ხოლო h — Planck-ის მუდმივს.

(5) განტოლებათა ამოხსნის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ სიდიდენი $\overline{\rho_{ik}}$ შეიძლება პირველი რიგის მცირე სიდიდეებათ ჩაითვალონ; მხოლოდ სიდიდე $\overline{\rho_{13}}$ მიღებული უნდა იქნეს როგორც მეორე რიგის მცირე სიდიდე, რადგან ადვილია ცხადყოფა იმ გარემოებისა, რომ თვით ვარსკვლავის ზედაპირზედაც ადგილი ექნება ტოლობას:

$$(\overline{\rho_{13}})_s=(\overline{\rho_{12}})_s(\overline{\rho_{23}})_s,$$

სადაც ინდექსი s ნიშნავს, რომ ტოლობა დაწერილია ვარსკვლავის ზედაპირის შემთხვევისათვის.

ჩვენ შეგვიძლია მეხუთე განტოლება ამოვხსნათ შემდეგი სახის სიდიდეთა მიმართ:

$$\frac{\frac{g_i}{g_k}nk}{ni-\frac{g_i}{g_k}nk},\quad (i<k),$$

ე. ი. აღებულ მდგომარეობაში მყოფ ატომთა საერთო რიცხვი ენერგიის შესაბამ სიმკვრივეთა საშუალებით გამოვსახოთ; ასეთი გზა მათ უფრო ხელსაყრელია, რომ ენერგიის სიმკვრივეთა მნიშვნელობანი შეიძლება გარსის აღებული წერტილისათვის (ადგილისათვის) სხივოსნური ენერგიის გადატანის განტოლებიდან განისაზღვროს უშუალოდ, რითაც მიღწეული იქნება ატომთა საერთო რიცხვის გამოსახვა გარკვეული ფუნქციის სახით.

ჩვენ აქ არ მოვიყვანთ მეხუთე განტოლებათა ამოხსნის პროცედურას, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ამოხსნის დროს ჩვენ მხედველობაში მივიღეთ მხოლოდ ნულოვანი, პირველი და მეორე რიგის მცირე სიდიდენი; ამოხსნები შეიძლება დავწეროთ შემდეგი სახით:

$$\frac{\frac{g_1}{g_2}n_2}{n_1-\frac{g_1}{g_2}n_2}=\overline{\rho_{12}}+\alpha_1\overline{\rho_{14}}-\alpha_2\overline{\rho_{12}}\,\overline{\rho_{24}};\qquad \frac{\frac{g_1}{g_4}n_4}{n_4-\frac{g_1}{g_4}n_4}=\alpha_3\overline{\rho_{14}}+\alpha_4\overline{\rho_{12}}\,\overline{\rho_{24}}\ ; \tag{6}$$

სადაც

$$\alpha_1=\frac{g_2B_{14}\sigma_{14}B_{24}\sigma_{24}+g_2B_{14}\sigma_{14}B_{24}\sigma_{24}}{(g_1B_{14}\sigma_{14}+g_2B_{24}\sigma_{24}+g_3B_{34}\sigma_{34})B_{12}\sigma_{12}};$$

$$\alpha_2=\frac{g_2B_{14}\sigma_{14}B_{24}\sigma_{24}}{(g_1B_{14}\sigma_{14}+g_2B_{24}\sigma_{24}+g_3B_{34}\sigma_{34})B_{12}\sigma_{12}};$$

$$\alpha_3=\frac{g_1B_{14}\sigma_{14}}{g_1B_{14}\sigma_{14}+g_2B_{24}\sigma_{24}+g_3B_{34}\sigma_{34}};$$

$$\alpha_4=\frac{g_2B_{24}\sigma_{24}}{g_1B_{14}\sigma_{14}+g_2B_{24}\sigma_{24}+g_3B_{34}\sigma_{34}}. \tag{6}$$

(6) განტოლებათა მარჯვენა მხარეში შემავალ სიდიდეთაგან α_1, α_2, α_3 და α_4 წარმოადგენენ მუდმივ სიდიდეებს, როგორც ეს ნათელია (6′) განტოლებიდან, ხოლო სიდიდეები $\overline{\rho_{12}}$ და $\overline{\rho_{14}}$—ენერგიის სიმკვრივეებს, რომლებიც, ზოგადად რომ ვსთქვათ, გარსის სხვადასხვა ოპტიური სიღრმის შემთხვევაში სხვადასხვა მნიშვნელობებს ღებულობენ და, მაშასადამე, ცხადია, ამ უკანასკნელის ფუნქციის სახით უნდა იქნან წარმოდგენილნი.

სიდიდე $\overline{\rho_{24}}$ ენერგიის სპეციფიურ სიმკვრივეს წარმოადგენს, რომლის გავლენით უზრუნველყოფილია გარსში $2\to4$ ტიპის ინდუცირებული გადასვლები და, ცხადია მისი მნიშვნელობა ვარსკვლავს აირად გარსში დამოუკიდებელი იქნება, ერთის მხრივ, იმავე სახის მონოქრომატიული ენერგიის სპეციფიური სიმკვრივის მნიშვნელობაზე $(\overline{\rho_{24}})_s$ ვარსკვლავის ზედაპირზე, ხოლო, მეორეს მხრივ, დილუციის ფაქტორზე W; ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ აღებულ გარსთა კატეგორია უფლებას გვაძლევს აღნიშნული სიდიდე აირადი გარსის შიგნით მუდმივ სიდიდეთ ჩავთვალოთ. მართლაც, ჩვენ იმ თავითვე ავღნიშნეთ რომ საკვლევ ობიექტად აღებულია გარსთა ისეთი კლასი, რომელთა მიმართ დასაშვებია სფერული ამოცანის დაყვანა ბრტყელსწვრივ ამოცანაზე ე. ი., აირად გარსთათვის დაცულია Milne-ის გეომეტრიული მეთოდის პირობები [1]:

$$r_1\geqslant r;\qquad r_1\geqslant|r_2-r_1|,$$

სადაც r_1 და r_2 გარსის შიგა და გარე რადიუსებია შესაბამისად, ხოლო r—ვარსკვლავის რადიუსი; და, რაკი ეს პირობები შესრულებულია, ჩვენი შენიშვნის სამართლიანობაც უშუალოდ დასაბუთებულია. მეორეს მხრივ, ამ სიდიდის მნიშვნელობა ვარსკვლავის ზედაპირზე მუდამ ერთზე ნაკლები რჩება, ამიტომ საბოლოოდ შეგვიძლია დავწეროთ:

$$\overline{\rho_{24}}=W(\overline{\rho_{24}})_s=\text{const}\ll1. \tag{6″}$$

ვისარგებლოთ ეხლა ჩვენ მიერ მიღებული შედეგებით $\overline{\rho_{12}}$ და $\overline{\rho_{14}}$ სიდიდეთა მნიშვნელობათათვის:

$$\overline{\rho_{12}}=Ae^{\lambda_1\tau}+Be^{-\lambda_1\tau}+\frac{N}{M}(A_0\tau+B_0)$$

$$\overline{\rho_{14}}=\frac{\lambda_0^2}{\alpha_0}\left[\left(1-\frac{N}{M}\right)(A_0\tau+B_0)-(Ae^{\lambda_1\tau}+Be^{-\lambda_1\tau})\right], \tag{7}$$

სადაც A_0, B_0, A, B, N, M, α_0, λ_1 და λ_0 მუდმივი სიდიდეებია და განზღვრულია ტოლობებით:

$$A_0=\frac{\alpha_0}{\lambda_0}\psi_0;$$

$$B_0=\frac{2}{3}\frac{\alpha_0}{\lambda_0}\psi_0\left\{\frac{\left(\frac{M}{N}-1\right)[(\lambda_1-3/2)e^{-\lambda_1\tau'}-(\lambda_1+3/2)e^{\lambda_1\tau'}]-3}{\left[\frac{\lambda_0(\lambda_1+3/2)}{\lambda_0-1}\frac{M}{N}-\lambda_1\right]e^{\lambda_1\tau'}-\left[\frac{\lambda_0(\lambda_1-3/2)}{\lambda_0-1}\frac{M}{N}-\lambda_1\right]e^{-\lambda_1\tau'}}+1\right\};$$

$$A=\frac{\alpha_0}{\lambda_0}\frac{\psi_0}{\lambda_1}\frac{N}{M}\frac{\lambda_1\left(\frac{M}{N}-1\right)e^{-\lambda_1\tau'}-\left[\frac{\lambda_0(\lambda_1+3/2)}{\lambda_0-1}\frac{M}{N}-\lambda_1\right]}{\left[\frac{\lambda_0(\lambda_1+3/2)}{\lambda_0-1}\frac{M}{N}-\lambda_1\right]e^{\lambda_1\tau'}-\left[\frac{\lambda_0(\lambda_1-3/2)}{\lambda_0-1}\frac{M}{N}-\lambda_1\right]e^{-\lambda_1\tau'}};$$

$$B=\frac{\alpha_0}{\lambda_0}\frac{\psi_0}{\lambda_1}\frac{N}{M}\frac{\lambda_1\left(\frac{M}{N}-1\right)e^{\lambda_1\tau'}-\left[\frac{\lambda_0(\lambda_1-3/2)}{\lambda_0-1}\frac{M}{N}-\lambda_1\right]}{\left[\frac{\lambda_0(\lambda_1+3/2)}{\lambda_0-1}\frac{M}{N}-\lambda_1\right]e^{\lambda_1\tau'}-\left[\frac{\lambda_0(\lambda_1-3/2)}{\lambda_0-1}\frac{M}{N}-\lambda_1\right]e^{-\lambda_1\tau'}}; \tag{7′}$$

$$N = 3(1-\alpha_3)\lambda_0^2;$$

$$M = 3(1-\alpha_3)\lambda_0^2 + 3\alpha_3\overline{\rho_{21}};$$

$$\alpha_0 = \frac{B_{11}\sigma_{11}}{B_{12}\sigma_{12}}; \tag{7}$$

$$\lambda_1 = \sqrt{M};$$

$$\lambda_0 = \frac{\nu_{11}\Delta\nu_{12}}{\Delta\nu_{11}\nu_{12}}\frac{B_{11}}{B_{12}} = \text{const.}$$

ამ ტოლობებში ψ_0 წარმოადგენს ν_{11} სიხშირის ენერგიის რაოდენობას, რომელიც გავლის გარსის შიგა ზედაპირის ერთეულზე, τ აირადი გარსის ოპტიურ სიღრმეს ν_{12} სიხშირის გამოსხივებისათვის ხოლო τ' გარსის ოპტიურ სისქეს იმავე სიხშირეში და დაკავშირებულია τ_{11} სიხშირის გამოსხივებისათვის გარსის ოპტიურ სისქესთან t_0 ტოლობით:

$$\lambda_0\tau' = t_0, \tag{7'}$$

სადაც λ_0 წარმოადგენს (7')-ის უკანასკნელი ტოლობით განზღვრულ სიდიდეს.

ჩვენ განვიხილავთ იმ შემთხვევას, როდესაც გარსი ν_{11} სიხშირის გამოსხივებისათვის არ არის გამჭვირვალე, და, მაშასადამე, L_α რადიაციის ვალი საკმარისად მძლავრია, ე. ი. ν_{12} სიხშირის გამოსხივებისათვის გარსის ოპტიური სისქე τ' მეტია ვიდრე 10^4; მაშინ, ცხადია, გვექნება:

$$t_0 > 1,$$

$$\lambda_0 < 1. \tag{7''}$$

ბუნებრივია, რომ სხვა შესაძლო შემთხვევის განხილვას (მაგ., როცა გარსი გამჭვირვალეა ν_{11} გამოსხივებისათვის) არც აქვს აზრი, რადგან მხოლოდ აღებულ შემთხვევაში ექნება ადგილი გარსში ატომთა იონიზაციას პირველი ძირითადი მდგომარეობიდან და, მაშასადამე, ვარსკვლავის ულტრაიისფერი ენერგიის შთანთქმას Lyman-ის სერიის საზღვრის მიღმა.

თუ, ახლა, მხედველობაში მივიღებთ (6) განტოლებათაგან პირველს და აგრეთვე (6'), (7) და (7')-ის მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ტოლობებს, მაშინ მეორე მდგომარეობაში მყოფ ატომთა საერთო რიცხვისათვის n_2, გარსის მოცულობის ერთეულში, ვღებულობთ გამოსახვას:

$$n_2 = \frac{g_2}{g_1}\left(n_1 - \frac{g_1}{g_2}n_2\right)\left\{[1-(1-\alpha_3)\lambda_0^2 - \alpha_3\overline{\rho_{21}}](Ae^{\lambda_1\tau} + Be^{-\lambda_1\tau}) + \frac{N}{M}(A_0\tau + B_0)\right.$$

სადაც n_2 წარმოდგენილია ν_{12} სიხშირეში გარსის ოპტიურ სიღრმის ფუნქციის სახით. თუ (3) ინტეგრალში n_2-ის მაგიერ ამ გამოსახვას შევიტანთ და ინტეგრალის სათანადო გარდაქმნისათვის მივიღებთ მხედველობაში, რომ

$$dr = -\frac{\Delta\nu_{12}}{h\nu_{12}}\frac{cd\tau_{12}}{\left(n_1 - \frac{g_1}{g_2}n_2\right)},$$

ხოლო, როცა $r = r_1$ $\tau = 0$

და „ $r = r_2$ $\tau = \tau'$,

მაშინ, (6'')-ის გამო ვღებულობთ ელემენტარულ ინტეგრალს, რომლის ინტეგრობა გვაძლევს:

$$E = N_0\left\{[1-(1-\alpha_3)\lambda_0^2 - \alpha_3\overline{\rho_{21}}]\left[\frac{Ae^{\lambda_1\tau'} - Be^{-\lambda_1\tau'} + B - A}{\lambda_1}\right] + \right.$$

$$\left. + \frac{N}{2M}A_0\left[\tau'^2 + \frac{2B_0}{A_0}\right]\right\}, \tag{8}$$

სადაც

$$N_0 = 4\pi r_2^2 h\nu_{21}B_{21}\sigma_{21}\overline{\rho_{21}}\frac{g_2}{g_1}\frac{\Delta\nu_{12}}{h\nu_{12}}\frac{c}{B_{12}} = \text{const.} \tag{8'}$$

(6'), (6'') და (7'') დამოკიდებულებათა საფუძველზე შეგვიძლია დავწეროთ:

$$[1-(1-\alpha_3)\lambda_0^2 - \alpha_3\overline{\rho_{21}}] \approx 1. \tag{8''}$$

დავამტკიცოთ ახლა, რომ ადგილი აქვს შემდეგს:

$$\frac{Ae^{\lambda_1\tau'} - Be^{-\lambda_1\tau'} + B - A}{\lambda_1} \approx -\frac{N}{M}A_0\left[\frac{M-N}{\frac{3}{2}\lambda_0\lambda_1 M + MN}\right],$$

$$\frac{B_0}{A_0} \approx \frac{M-N}{\frac{3}{2}\lambda_0 M + \lambda_1 N}. \tag{8'''}$$

მართლაც (7')-ის მესამე და მეოთხე ტოლობათაგან უშუალოდ გვაქვს:

$$\frac{Ae^{\lambda_1\tau'} - Be^{-\lambda_1\tau'}}{\lambda_1} = -\frac{N}{M^2}A_0.$$

იმავე ტოლობათა საფუძველზე (თუ უკუვაგდებთ უარყოფით ხარისხიანი მაგ რავლების შემცველ წევრებს, როგორც უფრო მაღალი რიგის მცირე სიდიდეებს სხვა წევრებთან შედარებით) შეგვიძლია დავწეროთ:

$$\frac{B-A}{\lambda_1} \approx \frac{N}{M^2} A_0 \frac{\lambda_1\left(\frac{M}{N}-1\right)}{\frac{\lambda_0(3/2+\lambda_1)}{\lambda_0-1}\frac{M}{N}-\lambda_1},$$

სადაც λ_0 შეგვიძლია უკუვაგდოთ, როგორც მცირე სიდიდე 1-ის მიმართ (7‴)-ის თანახმად, ხოლო λ_1—3/2-ის მიმართ (7)-ის მეექვსე და მერვე ტოლობათა და (6′) და (7‴) უტოლობათა თანახმად. ამიტომ, უკანასკნელ ორ ტოლობათაგან ვღებულობთ:

$$\frac{Ae^{\lambda_1\tau'}-Be^{-\lambda_1\tau'}+B-A}{\lambda_1} \cong -\frac{N}{M}A_0\left[\frac{1}{M}+\frac{\lambda_1(M-N)}{\frac{3}{2}\lambda_0M^2+\lambda_1 MN}\right]=$$

$$=-\frac{N}{M}A_0\left[\frac{\frac{3}{2}\lambda_0\lambda_1M+MN+M-N}{\frac{3}{2}\lambda_0\lambda_1M+MN}\right];$$

ამ გამოთქმის მარჯვენა ნაწილის მრიცხველიდან სავსებით სამართლიანად შეგვიძლია უკუვაგდოთ $\frac{3}{2}\lambda_0\lambda_1M$ და MN როგორც უფრო მაღალი რიგის მცირე სიდიდენი M და N სიდიდეთა მიმართ, რის შემდეგ ცხადი იქნება (8‴)-ის პირველი გამოსახვის სამართლიანობა. სავსებით ანალოგიურად შეიძლება (8‴)-ის მეორე გამოსახვის სამართლიანობის დასაბუთება (7′)-ის პირველ და მეორე ტოლობათაგან; ამიტომ (7″), (8″) და (8‴) ტოლობათა საფუძველზე, (8) შემდეგი სახით შეიძლება გადაიწეროს:

$$E = N_0\frac{N}{2M}A_0\left\{2\left[\frac{(M-N)t_0}{\frac{3}{2}\lambda_0^2M+\lambda_0\lambda_1N}-\frac{M-N}{\frac{3}{2}\lambda_0\lambda_1M+MN}\right]+\frac{t_0^2}{\lambda_0^2}\right\}, \tag{9}$$

სადაც t_0-ით აღნიშნულია გარსის ოპტიური სისქე ν_{14} სიხშირის გამოსხივებისათვის. აღვილად შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ

$$\left[\frac{(M-N)t_0}{\frac{3}{2}\lambda_0^2M+\lambda_0\lambda_1N}-\frac{M-N}{\frac{3}{2}\lambda_0\lambda_1M+MN}\right]>0. \tag{9′}$$

მართლაც, თუ მხედველობაში მივიღებთ (7‴)-ის პირველ უტოლობას და იმ გარემოებას, რომ λ_0, λ_1, M და N მცირე სიდიდენია (ერთზე გაცილებით ნაკლები),

მაშინ აღნიშნული უტოლობის სამართლიანობისათვის საჭიროა შესრულებულ იქნეს პირობა:

$$\left|\frac{3}{2}\lambda_0\lambda_1M+MN\right| > \left|\frac{3}{2}\lambda_0^2M+\lambda_0\lambda_1N\right|. \tag{9″}$$

განვიხილოთ ახლა ორი შესაძლო შემთხვევა:

a) როცა გარსში დილუცია დაბალია და b) როცა იგი ერთობ მაღალია. ცხადია, პირველ შემთხვევაში საქმე გვექნება შედარებით მცირე რადიუსის აირად გარსთა მქონე ობიექტებთან, როგორიცაა: ახალი, Wolf-Rayet და Be ტიპის ვარსკვლავები, ხოლო მეორე შემთხვევაში კი პლანეტურ ნისლოვანებებთან. ამის გამო მოსალოდნელია, რომ თვითეულ შემთხვევაში ადგილი ექნება ფიზიკურ მოვლენათა ერთგვარ სპეციფიურობას. კერძოდ, (6″) უტოლობის თანახმად $\overline{\rho_{21}}$-ს სხვადასხვა მნიშვნელობა ექნება ამ შემთხვევათა შესაბამისად; სახელდობრ, პირველ შემთხვევაში იგი გაცილებით მეტი სიდიდის იქნება, ვიდრე მეორე შემთხვევაში. მეორეს მხრივ, (7″) და (7‴)-ის საფუძველზე, შეგვიძლია მივიღოთ, რომ $\lambda_0 \approx 10^{-1}$. ამასთანავე, λ_0 მათ უფრო მცირეა, რაც უფრო დიდია τ', ე. ი. რაც უფრო მძლავრია L_α რადიაციის ველი; ასეთ გარემოებას კი ადგილი ექნება მაშინ, როცა დილუცია დაბალია, ე. ი. სწორედ პირველ შემთხვევაში ვიქნებით, ამ შემთხვევაში, როცა L_α რადიაციის ველი შედარებით სუსტია და მაშასადამე, τ' არაა დიდი λ_0 შედარებით მეტია ვიდრე პირველ შემთხვევაში და ამიტომ ასეთ პირობათა შესრულება მეორე შემთხვევაშია მოსალოდნელი. ამ განმარტებათაგან გამომდინარეობს, რომ ზემოდგანხილულ შემთხვევებში ადგილი აქვს შესაბამისად უტოლობებს:

$$\text{a) } \overline{\rho_{21}} > \lambda_0^2 \quad \text{და} \quad \text{b) } \overline{\rho_{21}} < \lambda_0^2.$$

თუ, ახლა, მხედველობაში მივიღებთ (7′) განტოლებათაგან მეხუთეს, მეექვსეს და მერვეს, მაშინ გვექნება შესაბამისად:

$$\begin{aligned} &\text{a) } \overline{\rho_{21}} > \lambda_0^2; \quad \lambda_1 \approx [\overline{\rho_{21}}]^{1/2} > \lambda_0; \quad \lambda_0\lambda_1 > \lambda_0^2; \quad M > \lambda_0\lambda_1, \\ &\text{b) } \overline{\rho_{21}} < \lambda_0^2; \qquad \lambda_1 \approx \lambda_0; \qquad \lambda_1\lambda_0 \approx \lambda_0^2; \qquad M \approx \lambda_0^2. \end{aligned} \tag{9‴}$$

ამრიგად, (9‴)-დან სჩანს, რომ პირობა (9″) დაცულია ორთავე შესაძლო შემთხვევის დროს და, მაშასადამე, (9′) უტოლობა სამართლიანია; მაშინ (9) გამოთქმა გადავწეროთ შემდეგი უტოლობის სახით:

$$E > N_0\frac{N}{2M}\frac{A_0}{\lambda_0^2}t_0^2. \tag{10}$$

ეს უტოლობა სამართლიანია ორთავე შემთხვევაში. თუ, ახლა, მხედველობაშ
მივიღებთ (9‴) და (7′) ტოლობათაგან მეხუთეს, მეექვსეს და მეშვიდეს და ა
რეთვე იმ გარემოებას, რომ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ

$$g_1 = g_2; \quad B_{12} = B_{21} = B_{11}; \quad 2Wr_2^2 = R_*^2; \quad \alpha_1 = \alpha_2,$$

მაშინ, განხილულ შემთხვევათათვის გვექნება შესაბამისად:

$$E_a > N_a l_0^2,$$

(10

$$E_b > N_b l_0^2,$$

სადაც

$$N_a = \pi R_*^2 h\nu_{21}\sigma_{21} \frac{\Delta\nu_{11}}{h\nu_{11}} \frac{c}{B_{11}} (\overline{\rho_{11}})_a,$$

(10

$$N_b = \pi R_*^2 h\nu_{21}\sigma_{21} W (\overline{\rho_{21}})_a \frac{\Delta\nu_{11}}{h\nu_{11}} \frac{c}{\lambda_0^2} \frac{\sigma_{11}}{\sigma_{12}} (\overline{\rho_{11}})_a,$$

ხოლო R_*-ით აღნიშნულია ვარსკვლავის რადიუსი.

მიღებული შედეგების საფუძველზე ადვილია $\frac{Q_2}{Q_1}$ ფარდობის შეფასება ა
მივიღებთ მხედველობაში Balmer-ის ფორმულას და ტოლობას:

$$\sigma_{ik} = \frac{8\pi h\nu^2_{ik}}{c^3}.$$

მართლაც, მაშინ (2), (10′) და (10″) ტოლობათაგან ვღებულობთ:

$$\left[\frac{Q_2}{Q_1}\right]_a > \frac{l_0^2}{64}; \quad \left[\frac{Q_2}{Q_1}\right]_b > \frac{l_0^2}{27} \frac{W(\overline{\rho_{21}})_a}{\lambda_0^2}.$$

(1

(11) ნათელჰყოფს იმ გარემოებას, რომ $\frac{Q_2}{Q_1}$ ფარდობა ν_{11} სიხშირის გამოსხივებ
გარსის ოპტიური სისქის t_0 პროპორციულია, ე. ი. გარსში ატომთა იონიზაც
მეორე მდგომარეობიდან მით უფრო მეტია, რაც ნაკლებად არის გარსი გამჭვ
ვალე ვარსკვლავის ულტრაიისფერი გამოსხივებისათვის. ამდაგვარი დამოკიდებ
ლება დაცულია ორთავე განხილულ შემთხვევაში, იმ განსხვავებით მხოლო
რომ მეორე შემთხვევაში, ე. ი. მაღალი დილუციის გარსთათვის, პროპორც
ლობის კოეფიციენტში შედის დილუციის ფაქტორიც W, ე. ი. ამ შემთხვევ
იონიზაციას გარსში მეორე მდგომარეობიდან გაცილებით უფრო იშვიათ

ექნება ადგილი და აგრეთვე გაცილებით უფრო სუსტი იქნება ვიდრე დაბალი დილუციის დროს. ეს შედეგი კარგად ეთავსება იმ ფიზიკურ მდგომარეობას, რომელიც მაღალი დილუციის შემთხვევაში, მაგ., პლანეტურ ნისლოვანედთათვის, არის დამახასიათებელი და მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ გარსის ატომთა უმრავლესობა ძირითად მდგომარეობაში იმყოფება. მართლაც, თუ ეს პირობა განხორციელებულია, მაშინ ატომთა იონიზაცია მეორე მდგომარეობიდან ნაკლებად მოსალოდნელია, რადგან, ატომია მცირე რაოდენობის გამო, ამ მდგომარეობაში აირადი გარსი გამჭვირვალე იქნება სათანადო სიხშირის გამოსხივებისათვის. ამრიგად, სუბორდინალური სერიის ქვანტთა გარსში წარმოშობაში ვარსკვლავის Balmer-ის სიხშირის გამოსხივების მონაწილეობა და გავლენა უდავოთ უნდა იქნეს ჩათვლილი. ამასთანავე, ეს გავლენა გაცილებით მეტია იმ სისტემათათვის, რომელთა გარსების რადიუსი შედარებით მცირეა და სუსტდება უკანასკნელის ზრდისას, ე. ი. ამ გავლენის ეფექტიურობა თანდათან სუსტდება ვარსკვლავებიდან პლანეტურ ნისლოვანედებზე გადასვლისას.

შევაფასოთ ახლა ამ გავლენის ხასიათი და ხარისხი. ამ მიზნით თავდაპირველად საჭიროა გარსის ოპტიური სისქის t_0 შეფასება ν_{11} სიხშირის გამოსხივებაში. უნდა ვიფიქროთ, რომ გარსში ატომთა უმრავლესობა იონიზირებულია; ამიტომ, გარსის მასისათვის M შეგვიძლია დავწეროთ:

$$M = 4\pi r_2^2 m \int_{r_1}^{r_2} n^+ dr,$$

სადაც m ატომის საშუალო მასის მნიშვნელობაა, n^+—იონიზირებულ ატომთა რიცხვი მოცულობის ერთეულში, ხოლო r_1 და r_2—გარსის შიგა და გარე რადიუსები შესაბამისად. რადგან $n_1 \varkappa_{11} dr = dt$, ამიტომ გვექნება

$$M = 4\pi r_2^2 \frac{m}{\varkappa_{11}} \int_0^{t_0} \frac{n^+}{n_1} dt, \tag{12}$$

სადაც n_1 პირველ მდგომარეობაში მყოფ გარსის ატომთა საერთო რიცხვია მოცულობის ერთეულში, $\varkappa_{11}$—შთანთქმის მასური კოეფიციენტი ერთ ატომზე, ხოლო t_0—გარსის ოპტიური სისქე ν_{11} სიხშირის გამოსხივებისათვის.

(12) ინტეგრალის გადასაწყვეტად საჭიროა, ისე, როგორც ამას (3) ინტეგრალის ამოხსნის დროს ჰქონდა ადგილი, ინტეგრალის ნიშნისქვეშა გამოსახვა $\frac{n^+}{n_1}$ სათანადო სიხშირის ოპტიური სიღრმის ფუნქციის სახით წარმოვადგინოთ. ამ მიზნით უმჯობესია ვისარგებლოთ იონიზაციის ფორმულით, რომელიც დაახასიათებს ატომთა იონიზაციას პირველი (ძირითადი) მდგომარეობიდან.

(6) და (7) ტოლობათა საფუძველზე შეგვიძლია დავწეროთ:

$$\frac{\frac{g_1}{g_i}n_i}{n_1-\frac{g_1}{g_i}n_i}=\frac{N}{M}\frac{\alpha_i}{1-\alpha_3}\overline{\rho_{2i}}(A_0\tau+B_0)+(\alpha_i\overline{\rho_{2i}}-\frac{\alpha_3}{\alpha_0}\lambda_0^2)(Ae^{\lambda_1\tau}+Be^{-\lambda_1\tau}).$$

თუ, ახლა, ამ გამოსახვაში უკუვაგდებთ მეორე წევრს, რომელსაც (7')-ის თანახმად არ შეუძლია გავლენა მოახდინოს იონიზაციის სიდიდეზე გარსის არაკიდურ ფენებში, და, აგრეთვე, მაედველობაში მივიღებთ, რომ $\alpha_2\approx|1-\alpha_3|$, ხოლო (8''')-ის თანახმად $\frac{\lambda_0 B_0}{A_0}<1$, მაშინ გვექნება:

$$\frac{n_i}{n_1}\approx\frac{g_i}{g_1}\frac{N}{M}\frac{A_0}{\lambda_0}\overline{\rho_{2i}}\,t.$$

რადგან ჩვენ მიერ ზემოდ შემოტანილი პირობების მიხედვით მეოთხე მდგომარეობა ატომის იონიზაციას შეესაბამება, ამიტომ $n^+=n_i$ და (5'') და (5')-ის თანახმად ვპოულობთ:

$$\left[\frac{n^+}{n_1}n_e\right]_a\approx\frac{(2\pi\,mkT)^{3/2}}{h^3}W(\overline{\rho_{1i}})_a\,t,$$

$$\left[\frac{n^+}{n_1}n_e\right]_b\approx\frac{(2\pi mk\,T)^{3/2}}{h^3}W(\overline{\rho_{1i}})_a\,W\,(\overline{\rho_{1i}})_a\,\lambda_0^{-2}t, \tag{13}$$

რადგან შეიძლება დაახლოებით მივიღოთ, რომ $g^+\approx g_i$; ეს ფორმულები იონიზაციის ფორმულებია და საშუალებას გვაძლევენ ვიქონიოთ წარმოდგენა იონიზაციის სიდიდეზე აირად გარსებში განხილული *a*) და *b*) შემთხვევების დროს.

მეორეს მხრივ, რადგან ატომთა უმრავლესობა აირად გარსში ჩვენ იონიზაციაქმნილად ჩავთვალეთ, ამიტომ შეგვიძლია სიმარტივისათვის მივიჩნიოთ, რომ თვითეულ ატომზე გარსში საშუალოდ ერთი თავისუფალი ელექტრონი მოდის; მაშინ, გარსის თავისუფალ ელექტრონთა მთელი რაოდენობა n_e შეიძლება შემდეგი ფორმულით გამოვსახოთ:

$$n_e=\frac{M}{4\pi r_2^2\,\Delta r m_a}, \tag{13'}$$

სადაც m_a ატომის საშუალო მასაა, Δr — გარსის ხაზოვანი სისქე, ხოლო M — გარსის მასა.

თუ მხედველობაში მივიღებთ (13') და (12) ინტეგრალის ნიშნის ქვეშა სიდიდის $\frac{n^+}{n_1}$ გამოსახვისათვის ვისარგებლებთ (13)-ით, მაშინ, რადგან დაახლოებით შეიძლება ჩავთვალოთ, რომ $\Delta r\approx\frac{1}{2}r_2$, ინტეგრობის შემდეგ გვექნება:

$$[M^2]_a\simeq\pi^2R_*^2\,r_2^3\frac{m_a^2}{\varkappa_{1i}}\frac{(2\pi mk\,T)^{3/2}}{h^3}(\overline{\rho_{1i}})_a\,t_0^2,$$

$$[M^2]_b\simeq\frac{\pi^2}{4}R_*^4\,r_2\frac{m_a^2}{\varkappa_{1i}}\frac{(2\pi mk\,T)^{3/2}}{h^3}\frac{(\overline{\rho_{2i}})_a(\overline{\rho_{1i}})_a}{\lambda_0^2}t_0^2,$$

სადაც ინდიქსებით *a* და *b* (ისევე, როგორც წინად და შემდეგშიაც) აღნიშნულია სათანადო შემთხვევათა შესაბამი მნიშვნელობანი. ამ განტოლებათა ამოხსნა t_0-ის მიმართ გვაძლევს:

$$[t_0]_a\simeq\frac{M_a}{\pi m_a r_2\,R_*(\overline{\rho_{2i}})_a^{1/2}}\left(\frac{\varkappa_{1i}}{r_2}\right)^{1/2}\frac{h^{3/2}}{(2\pi mk\,T)^{3/4}},$$

$$[t_0]_b\simeq\frac{4\lambda_0M_b}{\pi m_a R_*^2(\overline{\rho_{2i}})_a^{1/2}}\left(\frac{\varkappa_{1i}}{r_2}\right)^{1/2}\frac{h^{3/2}}{(2\pi mk\,T)^{3/4}}.$$

ვარსკვლავის აბსოლუტური ტემპერატურა T წარმოვადგინოთ სახით: $T=10^4x$; მაშინ:

$$(\overline{\rho_{1i}})=\frac{1}{e^{\frac{h\nu}{kT}}-1}\frac{1}{e^{\frac{1\cdot16\chi}{x}}-1},$$

სადაც χ იონიზაციის პოტენციალია გამოსახული e,v ერთეულებში. ამასთანავე ყოველთვის უნდა ველოდეთ, რომ

$$\chi>x,\quad\text{ე. ი.}\quad\frac{1\cdot16}{e^{\frac{x}{x}}}\chi\gg1.$$

ამრიგად, საკმარისად სამართლიანად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ

$$(\overline{\rho_{1i}})_a\approx e^{-\frac{\chi}{x}}.$$

ამიტომ, თუ წინა ტოლობებში უნივერსალურ მუდმივთა სათანადო მნიშვნელობებს შევიტანთ $[\varkappa_{14} \approx 0.5 \times 10^{-17}]$, საბოლოოდ მივიღებთ:

$$[t_0]_a \approx C_a x^{-3/5} e^{\frac{\chi}{2x}},$$

$$[t_0]_b \approx C_b x^{-3/5} e^{\frac{\chi}{2x}}, \tag{14}$$

სადაც

$$C_a = 1.3 \times 10^4 \frac{M_*}{R_* r_2^{3/5}},$$

$$C_b = 52 \frac{M_b}{R_*^2 r_2^{3/5}}. \tag{14'}$$

უკანასკნელი განტოლებანი იმ გარემოებაზე მიგვითითებენ, რომ გარსის ოპტიური სიღრმე იმ სიხშირის გამოსხივებისათვის, რომელიც უზრუნველჰყოფს ატომთა იონიზაციას ძირითადი მდგომარეობიდან, დამოკიდებულია, ერთის მხრივ, გარსის მასაზე (მისი პროპორციულია), ხოლო, მეორეს მხრივ, ვარსკვლავის და გარსის რადიუსებზე (მათი უკუპროპორციულია). ასეთი დამოკიდებულება საშუალებას მოსალოდნელი იყო ზოგად მოსაზრებათა საფუძველზე. რაც შეეხება (14) განტოლებებს, უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ განტოლებებში ზემოაღნიშნული ოპტიური სისქე ერთსადაიმავე ვარსკვლავისათვის გამოსახულია ტემპერატურისა და იონიზაციის პოტენციალის რთული ფუნქციის სახით.

ასეთი დამოკიდებულების საფუძველზე შეგვიძლია შევადგინოთ სათანადო ცხრილი, როგორც ოპტიური სიღრმის, ისე $\frac{Q_2}{Q_1}$ ფარდობის მიმართ, რადგან ეს უკანასკნელი დამოკიდებულია პირველზე ჩვენ მიერ უკვე მიღებული (11) განტოლების მიხედვით. საჭიროა, მხოლოდ, ამისათვის C_a და C_b სიდიდეთათვის გარკვეულ მნიშვნელობათა შემოღება. ცხადია, ამ სიდიდეთა მნიშვნელობა სხვადასხვაგვარია სხვადასხვა შემთხვევის დროს. შევარჩიოთ ეს მნიშვნელობანი ჯერ იმ შემთხვევისათვის, როცა საკითხი ეხება შედარებით მცირე რადიუსის მქონე ობიექტებს. ჩვენ ზემოდ ავღნიშნეთ, რომ ამ ობიექტების ქვეშ შეიძლება ვიგულისხმოთ Wolf-Rayet, Be—ტიპის ვარსკვლავები და აგრეთვე ახალი ვარსკვლავებიც, რადგან, როგორც ცნობილია, ახალი ვარსკვლავები საბოლოო ფაზაში წარმოადგენენ Wolf Rayet ტიპის ვარსკვლავებს.

გარსის მასისათვის ჩვენ ვისარგებლებთ იმ მნიშვნელობებით, რომლებიც მიღებული იყო ახალ ვარსკვლავთა შემთხვევებში; ამასთანავე, რადგან ეს მნიშვნელობანი მოძებნილი იყო სხვადასხვა ვარიაციებით, ამიტომ ჩვენ ავიღებთ ამ ვარიაციათა ქვედა ზღვარს, რადგან, თუ მიღებული შედეგები სამართლიანი იქნება ასეთ პირობებში, მაშინ სამართლიანი იქნება მასის უფრო დიდი

მნიშვნელობის შემთხვევაშიაც. გარსის გარე რადიუსის მნიშვნელობასაც ჩვენ ისე ავიღებთ რომ იგი წარმოადგენდეს საშუალო შესაძლო მნიშვნელობას ახალი ვარსკვლავების შემთხვევაშიც, ხოლო რაც შეეხება ვარსკვლავის რადიუსს,— ჩვენ მას მივიჩნევთ მზის რადიუსის ტოლად. ამრიგად, გვექნება:

$$R_* \approx R_\odot,$$

$$r_2 \approx 10^{13}\ cm,$$

$$M_a \approx 10^{26}\ gr.$$

მაშინ, ჩვენ მივიღებთ შემდეგ მარტივ დამოკიდებულებას:

$$[t_0]_a \approx 0.6 x^{-3/5} e^{\frac{\chi}{2x}},$$

რომელიც სამართლიანად უნდა ჩავთვალოთ განსახილავ შემთხვევისათვის.

ამ უკანასკნელი სახის დამოკიდებულების საფუძველზე შეგვიძლია შევადგინოთ ზემოაღნიშნული ხასიათის ცხრილი:

χ \ x	1.0		1.5		2.0		2.5		3.0	
H	5×10^7	4.10^3	40	25	11	2	9	1	2.5	0.1
H_e I	10^5	3.10^9	1.5×10^3	4.10^4	160	400	40	25	15	3.6
H_e II	4.10^{12}	2.10^{23}	3.10^7	2.10^{13}	9.10^5	10^{10}	2.10^4	4.10^6	2.10^3	8.10^4
	t_0	$\frac{Q_2}{Q_1}$	t_0	$\frac{Q_2}{Q_1}$	t_0	$\frac{Q_2}{Q_1}$	t_0	$\frac{Q_2}{Q_1}$	t_0	$\frac{Q_2}{Q_1}$

ამ ცხრილიდან ნათლად სჩანს, თუ რამდენად დიდია ფარდობა $\frac{Q_2}{Q_1}$ შედარებით მცირე ტემპერატურისა და იონიზაციის მაღალი პოტენციალის დროს.

განვიხილოთ ახლა მეორე შემთხვევა, როცა საქმე გვაქვს საკმარისად დიდ რადიუსის მქონე გარსის ობიექტებთან. ასეთ ობიექტთა პროტოტიპათ უმჯობესია პლანეტური ნისლოვანედი მივიჩნიოთ, რადგან საძიებელ სიდიდეთა მნიშვნელობანი ამ უკანასკნელთათვის საკმარისად გარკვეულია[9]:

$$R_* \approx R_\odot$$
$$r_2 \approx 10^{17}\ cm,$$
$$M_a \approx 10^{31}\ gr,$$
$$W \approx 10^{-14}.$$

მაშინ, ამ შემთხვევისათვის, ვღებულობთ:

$$[I_0]_\lambda = 300 x^{-3/4} e^{\frac{x}{2x}} = 500 [I_0]_\lambda .$$

უკანასკნელი განტოლება საშუალებას გვაძლევს ვისარგებლოთ მოყვანილი ცხრილით ავრეთვე ამ შემთხვევაშიაც. მართლაც, ეს განტოლება (11) განტოლებათა მეორე ტოლობასაც გვაძლევს:

$$\left[\frac{Q_2}{Q_1}\right]_0 = \frac{5\times 10^{-4}}{27} [I_0]_\lambda \approx 10^{-3} \left[\frac{Q_2}{Q_1}\right]_\lambda ,$$

რადგან ზემოთაღნიშნულის თანახმად $\lambda_0 \approx 10^{-4}$.

მიღებულ (11), (14) და (14') განტოლებებს შემდეგი ინტერპრეტაცია შეიძლება მივცეთ:

1. აირად გარსებში წარმოშობილ Balmer-ის სიხშირეთა ქვანტების საერთო რიცხვი, რომელიც უბრუნველყოფილია ვარსკვლავის ენერგიის შთანთქმითი და შემდგომი რეკომბინაციის პროცესებით აირად გარსში, დამოკიდებულია არა მარტო ულტრაიისფერი ენერგიის შთანთქმაზე აირად გარსში Lyman-ის სერიის საზღვრის მიღმა, არამედ დამოკიდებულია აგრეთვე ვარსკვლავის Balmer-ის სიხშირეებში გამოსხივებულ ენერგიაზედაც, რომელიც აირად გარსში Balmer-ის სერიის საზღვრის მიღმა შთაინთქმება.

2. Balmer-ის ქვანტთა რაოდენობა, რომელიც ვარსკვლავის აირად გარსში წარმოიშობა Balmer-ის სერიის საზღვრის მიღმა შთანთქმული ენერგიის ხარჯზე, და, აგრეთვე, Balmer-ის ქვანტთა რაოდენობა, რომელიც წარმოშობა უზრუნველყოფილია Lyman-ის საზღვრის მიღმა შთანთქმული ენერგიის შემდგომი გამოსხივების პროცესებით, წარმოადგენენ ორ ძირითად, მაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ფაქტორებს Balmer-ის სიხშირეთა ქვანტების საერთო რაოდენობის უზრუნველყოფად. ამასთანავე, მათი ფარდობა მოცემული ტემპერატურის დროს დამოკიდებულია იონიზაციის პოტენციალზე და იზრდება მასთან ერთად ექსპონენციალური კანონით.

3. ამ ფარდობის სიდიდე საგრძნობია შედარებით დაბალი ტემპერატურის დროს (10000°—15000°) არა მარტო იონიზირებულ და ნეიტრალურ ჰელიუმის შემთხვევაში, არამედ წყალბადის შემთხვევაშიაც და მხოლოდ მაღალი ტემპერატურის დროს უახლოვდება 1-ს წყალბადისა და ნეიტრალური ჰელიუმისათვის.

თუ ამ შედეგებთან ერთად მხედველობაში მივიღებთ, რომ Zanstra-ს მეთოდში ვარსკვლავის ტემპერატურა მოცემულია ექსპერიმენტალური სიდიდის Av-ს პროპორციულობის სახით, ხოლო Av პროპორციულია $\frac{Q_2}{Q_1}$ ფარდობის, მაშინ ნათელია, რომ ამ მეთოდით განსაზღვრული ვარსკვლავის ტემპერატურა აუცილებლად მოგვცემს ფაქტიურად არსებულზე უფრო დიდ მნიშვნელობას.

ცხადია, ყველა ზემოთქმული შეეხება მხოლოდ შედარებით მცირე რადიუსიანი გარსის მქონე ობიექტებს.

მოყვანილი ცხრილის კრიტიკულად განხილვა გვარწმუნებს, რომ თუ ვარსკვლავის ტემპერატურა სინამდვილეში მაღალია, მაგ., 30000°-ზე მეტი, მაშინ Zanstra-ს მეთოდით უნდა მივიღოთ ვარსკვლავის ტემპერატურისათვის დაახლოებით ერთი და იგივე მნიშვნელობანი, როგორც წყალბადის, ისე ნეიტრალური და ერთხელ იონიზირებული ჰელიუმის შემთხვევებში. პირიქით, დაბალი ტემპერატურის დროს, აღნიშნული მეთოდის გამოყენებამ უნდა მოგვცეს ერთმანეთისაგან განსხვავებული შედეგები იმისდამიხედვით თუ გამოსავალ ელემენტებად აღებულია წყალბადი, ნეიტრალური, ან იონიზირებული ჰელიუმი.

